10. საკონკურსო კომისიის წევრი ვერ მიიღებს მონაწილეობას კონკურსში.
11. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის სახელზე დაწერილი განცხადება იმ აკადემიური თანამდებობის აღნიშვნით, რომელზეც ის აპირებს კონკურსში მონაწილეობის მიღებას (მხოლოდ ერთ კონკრეტულ ვაკანსიაზე).

12. კონკურსანტმა უნდა შეავსოს საზღვაო აკადემიის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული - "ანკეტა - განაცხადი" (პირადი სამეცნიერო-პედაგოგიური და პროფესიული გამოცდილების ანკეტა) და წარმოადგინოს დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია.

13. კომისიამ მონაცემების გადამოწმების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მიიწვიოს საექსპერტო ჯგუფი (სპეციალისტები).

14. კონკურსანტის მიერ მონაცემთა გაყალბება გამოიწვევს კონკურსიდან მის მოხსნას.

15. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს პრესაში, განთავსდეს აკადემიის ვებ-გვერდზე და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას აკადემიის შენობაში.

გათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნკარპანიძე

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მონაწილე პროცესულ საკონკურსო პაჭრობაზე (ტენდერზე)

საიდენტიფიკაციო ნომერი: N 10.01.22.
მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE

გულრიფშის რაიონის, სოფელ გენწვიშის საშუალო სკოლის რემონტი

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს გულრიფშის რაიონის, სოფ. გენწვიშის საშ. სკოლის რემონტი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება აფარას საკრებულოს თემის განვითარების კომიტეტთან, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, აფარას საკრებულოს თემის განვითარების კომიტეტი იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ 2006 წლის 10 ივლისიდან ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მონაწილე პროცესულ საკონკურსო პაჭრობაზე (ტენდერზე)

საიდენტიფიკაციო ნომერი: N 10.01.23.
მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE

გულრიფშის რაიონის, სოფელ გენწვიშის გზის რეკონსტრუქცია

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს გულრიფშის რაიონის სოფ. გენწვიშის გზის რეკონსტრუქცია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება აფარას საკრებულოს თემის განვითარების კომიტეტთან, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, აფარას საკრებულოს თემის განვითარების კომიტეტი იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ 2006 წლის 10 ივლისიდან ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.

რი.

საკონკურსო წინადადებაები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, 2006 წლის 8 აგვისტოს 11:00 საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დავიანებული საკონკურსო წინადადებაები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუსხნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული

ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის .N10, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სექტორის სუბსიდირებისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ტენდერს სს "თბილსრესზე" განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე სამ ლოტად და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

I ლოტი - თბილსრესის ტდნ-16000/10/6 ტიპის საკუთარი მოხმარების 30 ტ-ს ძალგანი ტრანსფორმატორის კაპიტალური რემონტის, აოდცნ-265/500/220/10 ტიპის ავტოტრანსფორმატორის "ზ" ფაზაზე დამატებითი სამუშაოების, 500 კვ და 220 კვ-ის დენისა და 500 კვ-ის ძაბვის ტრანსფორმატორებისა და 500 კვ-ის როდვ 60000/500 ტიპის რეაქტორის სარემონტო სამუშაოების შესახებ;
II ლოტი - სს "თბილსრესის" ქიმიური სააქქროს თბომექანიკური, წყლის ქიმიური წმენდის ფოტორების, ელ. მშონცილობების სარეაბილიტაციო სამუშაოების, თავის სისტემის დევეტტაციის, N3 და N4 ენერგობლოკებზე მაზუთის მიღების წინ ჩასატარებელი სამუშაოების, სათბობ-სატრანსპორტო სააქქროს მეტალის რეზერვუარების, მაზუთის მილსადენებისა და თბომექანიკური მოწყობილობების რემონტის ელ. სუბოთის და არხბოლოვის სისტემის სარემონტო სამუშაოების შესახებ;

III ლოტი - სს "თბილსრესის" N4 ენერგობლოკის NUV - 94-ის ტიპის ქვაბავრკატის, N3 და N4 ენერგობლოკის ტურბინის დამხმარე მოწყობილობების და არხსადენების თბოიზოლაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ;
 1. ტენდერში შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვების გამოვლენა, ლოტების მიხედვით. სატენდერო კომისიაში პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენა ხდება დახურულ კონვერტში. აღტენრბატიული წინადადებები არ განიხილება და შეფასებისთვის არ დაიშვება.
 2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
 3. სამუშაო უნდა განხორციელდეს არსებული ტექნიკური დავალების შესაბამისად, მისი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს. სამუშაო უნდა განხორციელდეს წარმოდგენილი გეგმა-გრავიკის მიხედვით, ტექნიკურ დავალებაში მითითებულ ობიექტზე. სამუშაოს შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 15 ნოემბერი;
 4. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 31 ივლისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა. N10. მე-4 სართული, სამინისტროს კანცელარია. შესყიდვებში მონაწილის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტაცია და ბეჭდვითი ლიტერატურა შეიძლება შედგენილი იყოს ასევე, უცხოურ ენაზე, ოღონდ

იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილებების ნოტარიულად დამოწმებული ზუსტი თარგმანი ქართულ ენაზე, მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 5.1. **იურიდიული პირებისათვის:**
 - ა) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას, რომ არ ხორციელდება კომპანიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
 - ბ) სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
 - გ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- 5.2. **ფიზიკური პირებისათვის:**
 - ა) უფლებამოსილი დანესტებულებიდან ცნობას, რომ მას მილიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;
 - ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
 - გ) სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაცვის საქმე;
- 5.3. **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**
 - ა) ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში სამუშაოების შესრულების შესახებ (გამოცდილება) არანაკლებ 1 მილიონი ლარის ოდენობით, ლოტებში მითითებული სამუშაოთა ხასიათის შესაბამისად;
 - ბ) საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა ეკვლავით აგრეთვე სუბ-კონტრაქტორებს, თუ ისინი ჩართული იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.
 - გ. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

7. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 და მე-6 პუნქტში, სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

8. წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი შეფასების კრიტერიუმებისა და პრიორიტეტულობის კოეფიციენტების მიხედვით:

N	შეფასების კრიტერიუმები	პრიორიტეტულობის კოეფიციენტები
1.	სატენდერო წინადადების ფასი	0,35
2.	სამუშაოს შესრულების ვადა	0,15
3.	სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზა	0,15
4.	ორგანიზაციის გამოცდილება ანალოგიური სანუშაოების შესახებ	0,15
5.	ანგარიშსწორების პირობები	0,10
6.	შემდგომი საგარანტიო მომსახურების პირობები და ვადები	0,10
		სულ: 1.0

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 2006 წლის 31 ივლისის 14 საათამდე შეეძლება 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის შესყიდვით ორგანიზაციის მიერ მითითებულ შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ. მისამართზე: საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა N10, მე-4 სართულზე, სატენდერო კომისიის აპარატი, ქვითი შევიდობაძე.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატი, მისამართზე: საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა. N10, ქვითი შევიდობაძე ტელ: 99-53-10.

11. ტენდერში მონაწილეობის შესრულებაზე სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადოს შემდეგ ანგარიშზე საქართველოს ეროვნული ბანკი ბანკის კოდი 220101107 /ა/ 200122900 სახაზონო კოდი: 302003000, საიდენტიფიკაციო კოდი 2203840442 (ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის მოსაკრებელი).

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია

ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 ვაკეარის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს ქვემოთ ჩამოთვლილ, ლოტებად დაყოფილი სამუშაოების შესასყიდად და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებული იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

ლოტი-1: ბაღდათი-განი-დაფნარის საავტომობილო გზის კმ.12(0.28)-კმ.13; კმ.14; კმ.22(0.9)-კმ.23(0.1); კმ.30(0.653); კმ.32(0.3) მონაკვეთის რეაბილიტაცია; **ლოტი-2:** ბაღდათი-განი-დაფნარის საავტომობილო გზის კმ.23(0.9)-კმ.30(0.1) მონაკვეთის პერიოდული შეკეთება.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა პირველ ლოტზე 2006წ. მეორე ლოტზე - 2006-2007წწ.

სამუშაოების შესრულების ვადა - თითოეულ ლოტზე მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასანევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლება 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზონო კოდი: 302003000), 2006 წლის 10 ივლისიდან, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვის სამმართველო.

დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის შექნა შეუძლიათ, როგორც ერთ ასევე ორივე ლოტზე. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ლოტების მიხედვით.

4. დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა ორივე ლოტზე საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 28 ივლისის 9.00 საათიდან 18.00 საათამდე და 2006 წლის 31 ივლისის 9.00 საათიდან 12.00 საათამდე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება. მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 5.1. ცნობები:
 - 5.1.1. იურიდიული პირისათვის:
 - ა) ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაცვის საქმე;
 - ბ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.1 პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმოწერა წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

- ა) ხელისმომწერიისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმოდგენილი მითითებული ალტერნატივით;
- 5.1.2. ფიზიკური პირისათვის:
 - ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დანესტებულებიდან რომ მას მილიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
 - ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
 - გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.2 პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმოწერა წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

- 5.1.3 როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:
 - ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ლოტების მიხედვით, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს საშუალო კლასის თვითმფრინავით და აუტორბუსით ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაშია მოცემული მანქანა-მექანიზმები.
 - შენიშვნა:
 - ა. ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ჩახმარი, მოწყველებული)	საკურობა: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა
1					
2					
და ა.შ.					

ბ. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარი აყავს იჯარით, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარი შეძენა ქვეყნის გარედას, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები) და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მანქანა-მექანიზმი და დანადგარი საქართველოში, და ა. შ.). ასევე აუცილებლად მითითებული უნდა იქნას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების და დანადგარების ადგილმდებარეობა, და იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგილზე მომილიზაციისათვის.

-- ცნობას, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები).

ტენდერში მონაწილე იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, ერთ-ერთ ნელს მანძი, შესრულებული უნდა ჰქონდეს: პირველი ლოტით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის და შინაარსის სამუშაოები საერთო ღირებულებით 2 000 000 ლარის ოდენობით; მეორე ლოტით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის და შინაარსის სამუშაოები საერთო ღირებულებით 1 000 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

№	სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შემსუდვედის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შენიშვნა
1				წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები
2				
და ა.შ.				

-- ცნობას ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტების უნდა გააჩნდეს თითოეულ ლოტით გათვალისწინებულ ანალოგიური სამუშაოს შესრულების არა ნაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

შენიშვნა: ა. ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

თანდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)	ბიოგრაფიული მონაცემები
1				
2				
და ა.შ.				

ბ. ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებულობა თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

გ. ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა და დროის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით დეტალურად.

-- ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მინორების შესახებ.

შენიშვნა: ა. ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

განსაკუთრებული სამუშაოს სახე	ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების გამოცდილება	ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება	ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები
1				
2				
და ა.შ.				

ბ. ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის განვლილი აქვს ანალოგიური სამუშაოები.

გ. ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (ინჟინერ-ტექნიკური) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

დ. ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

ე. ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად.
 -- ცნობას 2006 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

5.2. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):
 -- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (ნესდება, სასამართლოს დადგენილება). მიუთითეთ საკონტრაქტო ტელეფონები.

-- განაცხადი კონკრეტული ლოტების მითითებით, რომელზედაც იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს სურს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა.

6. იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადაამონაშებული ინდივიდუალურად.

7. იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

8. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენილ ფიზიკურ და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

9. იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლით მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალ

Weekend

© ბაჭათი 24 საათი

შაბათ-კვირა, №12
8-9 ივლისი, 2006

"13" - ბელა
ბაბლუანის
ბედნიერი
რისხვის

2


გულახდილად

4



სტილი

5



ისტორია

9



"13" - გელა ბაბლუანის ბედნიერი რიცხვი

ნესტან ნიჟარაძე

"13 ცამეტამდე" მას ფრანგები უბრალოდ, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველად მოიხსენიებდნენ. "13 ცამეტის" 2005 წლის ვენეციის კინოფესტივალის მომავლის ლომით დაჯილდოვების შემდეგ, იგი ქართული წარმოშობის ფრანგ რეჟისორად მონათლეს; ხოლო მას შემდეგ, რაც იგივე "13 ცამეტმა" სანდენის ფესტივალის გრნ პრი მოიპოვა, მას უბრალოდ ფრანგი რეჟისორი უწოდეს. გელა ბაბლუანს თავის "ფრანგულ წარმოშობაზე" ელიმება. შეკითხვაზე: "და სინამდვილეში ვინ ხარ შენ?", უბრალოდ პასუხობს: "მე? მე ქართველი ვარ."

ასე რომ, ის ქართველია. ცხოვრობს საფრანგეთში და აკეთებს ფრანგულ კინოს. მის პირველ სრულმეტრაჟიან ფილმს "13 ცამეტი" ევროპულმა და ამერიკულმა პრესამ "ფილმი-შოკი" უწოდა, 16 წლამდე მაყურებელს მისი ნახვისგან თავის შეკავება ურჩია და ისიც აღნიშნა, რომ ფილმის ნახვისას მგრძობიარე მაყურებელი "ვენეზუელაში სისხლის გაყინვისგანაც" კი არ იქნებოდა დაზღვეული.

ერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმის შემდეგ, 2005 წელს გადაღებული "13 ცამეტი" გელა ბაბლუანის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია. პრესტიჟული ვენეციის და სანდენის ფესტივალების შემდეგ იგი თბილისშიც დაჯილდოვდა ვერცხლის პრომეთეით. მსოფლიო აღიარებას, მსოფლიო აუდიტორიის მოპყვა და გელა ბაბლუანმა "13 ცამეტის" პრემიერის შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში თანამშრომლობის 200-ზე მეტი წინადადება მიიღო ამერიკული, ინგლისური და ფრანგული სტუდიებისგან. ამერიკელებმა ფილმი წლის ხუთ საუკეთესო ფილმს შორის დაასახელეს და მისი ავტორი ჰოლივუდში "13 ცამეტი"-ის ამერიკული რიმიქის გაკეთებაზე უკვე დაითანხმეს. სტივენ სპილბერგმა კი უბრალოდ განაცხადა, რომ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ნანახ ფილმთაგან გელა ბაბლუანის "13 ცამეტი" საუკეთესოა.

საერთაშორისო ფესტივალებზე "13 ცამეტის" ტრიუმფალური ვუაიაჟის მარშრუტში 2006 წლის კანის ფესტივალშიც მოხვდა. გელა ბაბლუანის ფილმი პრესტიჟული კანის "კინობაზარზე" იყო წარდგენილი. ფესტივალის მსვლელობისას კი, სასტუმრო "მარტინესის" ცნობილ ბარში, რომელიც მსოფლიო კინოს მეტრების ტრადიციული შეხვედრის ადგილია, და სადაც ჩვეულებისამებრ, თანამედროვე კინოს დიდ ვარს-



გელა ბაბლუანი.

კვლავებსაც კი ავიწყდებათ რომ ისინი ვარსკვლავები არიან, ძალიან წარმატებული "13ცამეტის" ძალიან ახალგაზრდა ავტორი კინოზე და მომავალზე, მამაზე და წარმატებაზე საუბრობდა. და ამბობდა:

"13 ცამეტზე"

ამ ფილმის ისტორია არ არის რეალური. იგი მოგონილია. მაგრამ ურთიერთობა პერსონაჟებს შორის ისე ვითარდება, როგორც ეს რეალობაში მოხდებოდა. მე ყველაზე მეტად ადამიანებს შორის არსებული ურთიერთობები მაინტერესებს. მიყვარს, რომდესაც ჩემს მიერ მოგონილი ამბავი ერთგვარი პარალელური ხედვა ხდება ადამიანებს შორის არსებულ ურთიერთობებზე; როდესაც მაყურებელი სწორედ ამაზე იწყებს ფიქრს. ამისთვის არასდროს მჭირდება რეალური ისტორიები.

გამიხარდა, რომ ფილმი ევროპულმა, ამერიკულმა და ქართველმა მაყურებელმა ერთნაირად აღიქვა და მიიღო. ეს ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა. რადგან "13 ცამეტი" საკმაოდ რთულ პირობებში კეთდებოდა. საერთოდ, რთული პირობები ფილმის გაკეთება. და როდესაც მისი დასრულების შემდეგ

ამგვარ რეაქციას ღებულობ, ეს უდაოდ სასიამოვნოა. თუმცა ქართველი მაყურებლის შეფასება ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. რადგან ჩვენი მაყურებელი განსაკუთრებულად კრიტიკულია, რასაც მრავალი მიზეზი აქვს. პირველი ალბათ ის არის, რომ ქართველი მაყურებელი განსაკუთრებულ კინოტრადიციებზე და კულტურაზე ალზრდილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი ახლა ალბათ ჩამკვდარია, ვფიქრობ, ეს კულტურა გენებში მაინც დაგვრჩა. თან როდესაც თემურ ბაბლუანის შვილი ხარ, საქართველოში შენ ფილმს კიდევ უფრო კრიტიკულად უყურებენ და აფასებენ.

მამაზე

თემური ჩემი ყველაზე დიდი მეგობარი იყო ყოველთვის. ჩვენ არაერთხელ გვიმუშავია ერთად, მაგრამ არასდროს გვითქვამს ერთმანეთისთვის-შენ ამას გააკეთებ, შენ კი ამას. ეს ბუნებრივად ხდებოდა ყოველთვის. როდესაც ადამიანები კარგად იცნობენ ერთმანეთს, ბევრი ლაპარაკი აღარ არის საჭირო. თან კინოს გადაღებისას გრძნობები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თეორიული ცოდნა.

მე და თემურის ურთიერთობას არასდროს მიუღია ორი რეჟისორის თანამშრომლობის ფორმა. ჩვენ მუშაობის განსხვავებული სტილი გვაქვს. იგი 5 დღით იყო ჩამოსული "13ცამეტის" გადაღებაზე და კინალამ გაგიჟდა. თავი და ბოლო ვერ გაუგო იმას, რაც გადასაღებ მოედანზე ხდებოდა. ბოლოს მითხრა, ვერ გავიგე რას აკეთებო. თუ რალაცაში ვგავართ ერთმენეთს ის არის რომ, ორივეს ბოლომდე გვიყვარს "შეყვანა".

კინოზე და პარიზზე

კინო ჩემი სამუშაო, ჩემი პროფესიაა და მას ძალიან სერიოზულად ვუდგები. მე ვერ ვიტყვოდი, რომ ამის გარეშე არ შემიძლია ცხოვრება, რადგან ვფიქრობ, რომ ცხოვრებაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ არსებობს. და ჩემთვის ეს ჩემი ოჯახია.

როდესაც მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღება დავიწყე 1998 წელს, ეს ისეთი კატასტროფა იყო, რომ პირველი სამი დღის შემდეგ ვიფიქრე: ან ეხლავე დავანებებ თავს კინოს ან ცოტა ხანი კიდევ მოვიცდი, ეგებ მომიხდეს გაგრძელება. მოვიცადე და გავაგრძელე.

ვსწავლობდი კინოსკოლაში, მაგრამ ორი წლის შემდეგ შევწყვიტე სწავლა. კინოს გარდა ყველაფერი მასწავლეს. თეორია, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. ის ანბანივით არის, რომელიც უნდა იცოდეს. მაგრამ მთავარს კინოში გამოცდილების და გრძნობების ხარჯზე სწავლობ.

როდესაც ათი წლის წინ პარიზში ჩამოვედი, სულ კინოში დავდიოდი. ლათინური კვარტალის პატარა დარბაზებში ვატარებდი მთელ დღეს. მთელი კლასიკა თავიდან ვნახე დიდ ეკრანზე; დილით ოდენონის პატარა კაფეში შევედიოდი საწერად. მერე ფილმზე. მერე ისევ ვწერდი და მერე ისევ კინოშოსალამოს სეანსზე. ასე გრძელდებოდა 2-3 წელი.

წარმატებაზე

ვიყავი თუ არა მზად ასეთი წარმატებისთვის? არა, მოულოდნელი იყო. როდესაც ვმუშაობ, ამაზე არ ვფიქრობ. ვფიქრობ მხოლოდ იმაზე, რომ თუკი რამე გრძნობა და ცოდნა მაქვს ყველაფერი ფილმში უნდა ჩავდო. მერე იფიქრები, ობიექტურად შეფასების უნარი გეკარგება. თუმცა წარმატების მოპოვების სურვილი ალბათ ყველას აქვს. "13ცამეტი" რომ დასრუ-

13 [TZAMETI] 13 [TZAMETI] 13 [TZAMETI] 13 [TZAMETI] 13 [TZAMETI]



ლდა და ლაბორატორიაში გაიგზავნა, მე და თემური უკვე ახალ გადაღებებზე ვიყავით ანუ უკვე სხვა რალაცაზე ვიყავი გადაართული.

ასეთი წარმატება, რა თქმა უნდა, ფილმის გადაღებასთან დაკავშირებულ ბევრი ტექნიკური პრობლემის გადაჭრას ამართლებს. მაგრამ წარმატება არ გეხმარება, როდესაც ახალ ფილმს იწყებ-გადასაღებ მოედანზე ყველაფერი ნულიდან უნდა დაიწყოს. მთავარია, ასეთმა მოულოდნელი წარმატების შემდეგ სამუშაოს არ უნდა მოწყდე, რაც არ უნდა თავბრუდამხვევე იყო ეს წარმატება. ისე კი, "13

ცამეტის" წარმატებას 200-ზე მეტი შემოთავაზება მოყვა ევროპული და ამერიკული სტუდიებისგან. ხუთმა ამერიკულმა კინოსააგენტომ მომავლის რეჟისორებს შორის პირველ ადგილზე დამაყენეს. ფრანგებმა კი ქართული წარმოშობის ფრანგი რეჟისორისგან, პირდაპირ ფრანგ რეჟისორად მომნათლეს.

ქართველობაზე

მე ქართველი ვარ. ყოველთვის ვამბობ, რომ ქართველი რეჟისორი ვარ. უბრალოდ, ბენდინერი ვარ, რომ საზღვარგარეთ მუშაობის საშუალება მაქვს.

ბენდინერი ვარ იმითაც, რომ "13ცამეტის" წარმატების შემდეგ დასავლეთში განახლებული ინტერესი გაჩნდა ქართული კინოსადმი, მისი ტრადიციებისადმი. ყველას აინტერესებს, რა ხდება დღეს. ჩემი სურვილი იქნებოდა, რომ საქართველოში კინონდუსტრიის აღორძინების დაწყებაში უშუალო მონაწილეობა მივიღო.

მომავალზე

მომავალ წელს პოლივუდში ვინცებ "13 ცამეტის" ამერიკულ რიმეიქზე მუშაობას. შემდეგ საფრანგეთში ვბრუნდები და

პროდიუსერის სტატუსით ახალ ფილმზე ვინცებ მუშაობას. კასტინგი უკვე დასრულდა და შემოდგომა გითხრათ, რომ ფილმში სხვა ცნობილ ფრანგ მსახიობებთან ერთად, დანიელ ოტიციც მიიღებს მონაწილეობას.


შავ-თეთრზე

რატომ ავირჩიე შავ-თეთრი გამოსახულების ესთეტიკა "13 ცამეტისთვის"? ამ კითხვაზე ალბათ უკვე 400ჯერ ვუპასუხე... თქვენც გეტყვით: როდესაც ფილმის სცენარზე ვმუშაობდი, უკვე ვხედავდი, რომ ფილმი შავ-თეთრი იქნებოდა. შავ-

თეთრი ფორმატი, მემგონი, აუცილებელი იყო ამ ფილმისთვის. რადგან იგი მოკლებულია რეალიზმს. მაყურებელი ნაკლებად არის გართული ვიზუალური ელემენტებით და მაქსიმალურ კონცენტრაციას ახდენს ფილმში მოთხრობილ ამბავზე, მის პერსონაჟებზე. ეს არის და ეს.

აქ, კანის სასტუმროში "მარტინესი", კიდევ უფრო ნათელი ხდება, რომ "13" გელა ბაბლუანისთვის წარმატების მომტანი რიცხვი აღმოჩნდა. რიცხვიც და ფილმიც.

კანი. 2006 წ.



13 [TZAMETI] 13 [TZAMETI] 13 [TZAMETI] 13 [TZAMETI] 13 [TZAMETI]



გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებულმა სამარცხვინო მოვლენების განვითარებამ, ეკა ხოფერიას პროტესტმა - დაუმორჩილებლობამ, ერთი, ჩემთვის პირადად, ძალიან მტკივნეული შეკითხვა გამიჩინა - ნუთუ ყველაფერში ასე ვცდებოდი?

რვან ერთი გუნდი ვართ?



არა, ნამდვილად, იშვიათად პოლიტიზირებული საზოგადოება ვართ! მთელი მსოფლიო და მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოც ფეხბურთის ჩემპიონატის ემოციებით არის მოცული, მაგრამ აუცილებლად პოლიტიკოსის ან მთავრობის წევრის მეთაურობით შექმნილი ამდენი "ფანკლუბი", ფეხბურთისა და პოლიტიკის ასეთი აქტიური პარალელურობა, ალბათ, მარტო ჩვენთან თუ იქნებოდა შესაძლებელი. არც ფეხბურთის, არც, მით უმეტეს, პოლიტიკის ექსპერტი არ ვარ. ორივე სფეროში სრული დილექტანტიზმით გამოვიჩინე. უბრალოდ, მთელი თვის განმავლობაში ნანახისგან შექმნილი შთაბეჭდილება, ჩემს გარემო არსებული სრულიად განსხვავებული ადამიანებისგან მოსმენილი მინდა გაგიზიაროთ. მაგალითად, საფრანგეთმა ბრაზილიას მოუგო და დაუვიწყარ სანახაობაზე მეტად, ქართული საზოგადოება გამოცდილების, ინტელექტისა და "კლასის" დაუმარცხებლობასა და ჩვენს ხელისუფლებაში ამ თვისებების დეფიციტზე ალაპარაკდა. გერმანიას არგენტინას უგებს და ქართველები ხასიათის იმ სიმტკიცეს, მიზანდასახულობას მისტირებენ, რომელიც, გერმანელებთან შედარებით, ნაკლებად გვახასიათებს, ქვეყნის ასაშენებლად კი დღეს ასე გვჭირდება. რომელიმე რიგითი თამაშის შემდეგ გულშემატკივრები ქუჩებს, მაღაზიებს არბევენ, ერთმანეთსა და პოლიციასთან დაპირისპირებაში შედიან - "ევროპაში

იც ხელკეტებით ნიღბანები გამოჰყავთ!" - ამბობს საზოგადოების ერთი ნაწილი. მეორე ნაწილი კი პასუხობს - "ადვილზე" ლიკვიდაციას" არავის უკეთებენ!" მსაჯები ყვითელ-წითელ ბარათებს აფრიალებენ, პოლიტიზირებული ქართული საზოგადოება კი ცალკეულ ხელისუფალთათვის გამაფრთხილებელი ბარათების უფლებაზე ოცნებობს. თამაშის წესის უხეზო დარღვევისთვის ფეხბურთელს მოედინდნენ აქევებენ, ჩვენ კი იმას ვნატვრით, რომ წესის, კანონის დამრღვევი, თუნდაც ძალიან "მაგარი" მინისტრის სათამაშო მოედნიდან გაყვანის უფლება ვიქონიოთ. ზიდანის ან დელ პიეროს განუმეორებელი თამაშის შემხედვარე ქართულ საზოგადოებას ასაკობრივი ცენზი აგონდება. განა ყველა "ბებერი" ბებერია?! ალბათ, მეცნიერებათა აკადემიაშიც, უნივერსიტეტშიც, პედაგოგებშიც და ექიმებშიც სწორედ ასეა. ყველას თავისი შესაძლებლობის შესაბამისი ასაკობრივი ლიმიტი გააჩნია. თუმცა, მეორე მხრივ, პელებ რომ კლევა, ადრე თუ გვიან თამაშს ისიც კი გამოეთიშა, მოედანი ღირსებით დატოვა, რათა მისი სახელი ლეგენდად დარჩენილიყო, არ გაუფასურებულიყო, თამაშის შედეგს ზიანი არ მიყენებოდა და მისი ადგილი ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელს დაეკავებინა. საკუთარი ქვეყნის დროშის ფრიალი, გუნდის გულშემატკივრობა, ათიათასობით ადამიანის ერთსულოვანი თანადგომა, საერთო მიზანი, გამარჯვების სა-

ყოველთაო ბედნიერება, მისი ხელშეწყობა და დამარცხების, ასევე, საერთო განცდა დღევანდელი ქართული საზოგადოებისთვის არანაკლებად სანატრელი აღმოჩნდა. შენი ქვეყნის ნაკრების გულშემატკივრობაზე დიდი ბედნიერება რა შეიძლება იყოს? გაკეთებულის დანახვა, დაფასება, ვერგაკეთებულში დახმარება, ნახალისება, გასაკეთებლის მითითება ყველას, რონალდინიოსაც, ტოტისაც და ნებისმიერ ხელისუფალსაც სჭირდება. ეს ყველასათვის ის აუცილებელი სტიმულია, რომელიც მათ კიდევ უფრო წარმატებულს, დაუმარცხებელს ხდის. ფეხბურთს, ამ ყველაზე მასობრივ, ეროვნულ სპორტსა და პოლიტიკას შორის არსებულ პარალელურობაში სიტყვა "გუნდი" გამოჩენილ, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. არსებობს სპორტული და პოლიტიკური გუნდი. გუნდი - გუნდია. მგონია, რომ ძლიერია ის გუნდი, რომელიც ინდივიდუალიზმით, ტალანტით გამოჩენილი მოთამაშეების მეშვეობით ერთ ნინასწარ შემუშავებულ სტრატეგიას ახორციელებს. ძლიერია გუნდი, რომელშიც საუკეთესოთა შორის საუკეთესოები თამაშობენ და მათი შერჩევა მკაცრად მიმდინარეობს. კარგი გუნდია ის, რომელიც მონინა-ალმდეგის პენლების დროს ერთ მწკრივში ხელგადახვეული დგას და მთელ ამ "ჯაჭვს" ერთი, დიდი, საერთო საბოლოო მიზანი აქვს. შთაბეჭქვათა გუნდი, რომელიც თამაშის დაწყებამდე ქვეყნის ჰიმს ერთხმად მღერის; რომლისთვისაც მონინალმდეგის კარში გატანილი გოლი ერთიანი სიხარულის, გამარჯვების ტოლფასია. ძლიერია გუნდი, რომელსაც მიზნის მისაღწევად ბრძოლის მტკიცე ნება, გეგმა აქვს და რომლის საერთო რითმიდან, წესიდან ამოვარდნა არანაირ "ვარსკვლავს", მედრომესა თუ "ერთგულს" არ ეპატიება. წარსულის ვერანაირი წარმატება, ავტორიტეტი, მეტანილი წვლილი გუნდის საერთო სქემის ამოვარდნას, გუნდურობის მკაცრი პრინციპების დარღვევას ვერ გაამართლებს, ვერ გადამწინებს. გუნდთან შეუთანხმებელი, მისი ინტერესებისთვის შეუფერებელი "თვითშემოქმედების" უფლება გუნდურ თამაშში არავის აქვს. ღალატი, დეზორიენტაცია ან, თუ გინდ სიმხდალე, არავის ეპატიება. არღვევ წესს? დიდ სპორტს, ან, თუ გნებავთ, დიდ პოლიტიკას, მაღალ თანამდებობას ემშვიდობები. შენზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას ვერ გრწმობ?! გუნდის წევრი ვერ იქნები. თვით ცოცხალი ლეგენდა, დიეგო მარადონა უმკაცრესი სპორტული მოთხოვნების, წესების, ეთიკისა და მორალის დარღვევისთვის ფეხბურთის, საკუთარ გუნდს ჩამოაშორებს. ქართული პოლიტიკის მმართველი გუნდი კი, ხშირ შემთხვევაში უნიჭო, უნიათო, გუნდურობის პრინციპების, ელემენტარული წესების უხეზად დამრღვევ რიგით მოთამაშეებს, "ჯარიმს" უსჯობს. კი არა და არ ელევა. გუნდის დაუმარცხებლობის ფასად ჯოუტობს. ვის ეჯიბება? წარმოვიდგინოთ, რომ სავსე სტადიონი ქვეყანაა, გულშემატკივრებით გადაჭედილი ტრიბუნები - მოსახლეობა, მოედანზე კი შენი ქვეყნის ინტერესების, ღირსების დასაცავი, საბედისწერო, გადამწყვეტი თამაში მიდის. გუნდი ერთ მუშტად არის შეკრული. რომელიმე ვერ თამაშობს, ფორმაში არ არის, დაიღალა, ტრავმა მიიღო - გამოიცილება. წესს დაარღვევს - გააფრთხილებენ. არ გაითვალისწინებენ, ხელმეორედ დარღვევს - მოედნიდან გაიყვანენ, მომდევნო თამაშს გამოატოვებინებენ. განსაკუთრებულ შემთხვევაში კი სრულ დისკვალიფიკაციასაც მისცემენ. ამისგან დაზღვეული არავინ უნდა იყოს. ყველამ, ფეხბურთისა და პოლიტიკის ნებისმიერი დონის "ვარსკვლავმა" ზუსტად უნდა იცოდეს, რომ მოედანზე არსებული თამაშის წესები ყველასათვის განურჩევლად მკაცრი, მომთხოვნი და უკომპრომი-სოა; რომ თამაშის საბოლოო მიზანი ნებისმიერ ცალკეულ მოთამაშეზე ბევრად უფრო ღირებულია და ერთ სასწორზე არ იდგება. ტრიბუნები მხოლოდ ღირსებულ თამაშს გულშემატკივრობენ. გუნდის ერთიანობიდან ამოვარდნილი ცუდი მოთამაშის ხვედრი კი დაუნდობელი, შეურაცხ-ყოფელი სტვენაა, რომელიც მსოფლიოს სტადიონებზეც და ქართულ პოლიტიკაშიც არაერთხელ მოგვისმენია. ფეხბურთში, ისევე როგორც ცხოვრებაში, ფეხბურთის გუნდში, ისევე, როგორც პოლიტიკურ გუნდში, შეუცვლელი ან, მით უმეტეს, მარადიული არავინ არის. აი, თუ ვინ, როდის, რატომ და ვისით უნდა შეიცვალოს, ვის რა კონკრეტული ფუნქცია ეკისრება, ვინ რომელ ფლანგს უფრო ნაადგება და რა არის გუნდის სტრატეგია - ამას მწვრთნელი განსაზღვრავს. მწვრთნელის მაღალი კლასის, პროფესი-



კოკა იბნაბოვანს ნახაბანი

ონალიზმის, სწორი გადაწყვეტილებების ან, პირიქით, გადაწყვეტილობის, შეცდომის გამო არაერთ გუნდს მოუგია ან წაუგია. ტრიბუნების მხრიდან თამაშის საბოლოო შედეგზე პასუხიც, ყველაზე მეტად, სწორედ მწვრთნელს მოუთხოვება. ძლიერი მწვრთნელი გუნდს საუკეთესოებით უნდა აკომპლექტებდეს, დიდი თამაშისთვის შესაფერის მხოლოდ იმ მოთამაშეებს ტოვებდეს, რომლებიც არც ტრიბუნების სტვენას, უპატივემლო შეძახილებს, არც მსაჯის ნითულ ბარათს, სათადარიგო სკამს ან სრულ დისკვალიფიკაციას არ დაინახებენ და ტალანტის, ძალისხმევასა და პასუხისმგებლობის შეგრძნების ხარჯზე გადამწყვეტ თამაშს ღირსეულად მოიგებენ. 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი ევროპული ფეხბურთის ნამდვილ ზემად იქცა. ჩვენი გუნდის თამაშის გამარჯვებითი ფინალი კი ევროპული პოლიტიკის განუყრელი ნაწილი უნდა გახდეს. მსოფლიო ჩემპიონატი ფინალს მიუახლოვდა. საქართველოს ფინალური გამარჯვებაც ხომ სრულიად რეალურია. ბოლომდე დაიხარჯეთ, თქვენი მაქსიმუმი გამოავლინეთ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე წესების დაცვით ითამაშეთ. ჩვენ ხომ ასე გგულშემატკივრობთ! P.S. ტელეეთერში გადის სოციალური რეკლამა "ჩვენი ერთი გუნდი ვართ!" დაკონკრეტდით, ვინ და ვინ?

ნივთები პიერო ფორნაჯატისგან

ნატა ჯანაზარიძე
სტუდია "ROOM'S"-ის დირექტორი


არსებობენ ადამიანები, რომელთა შემოქმედება შთაგავონებს და სტიმულს გაძლევს, რომ აკეთო მეტი კარგი და საინტერესო, იშრომო და ამით მიიღო ის, რაც გსურს. ჩემზე გარკვეული გავლენა მოახდინა იტალიელმა პიერო ფორნაჯეტიმ, რომლის შთაგონების წყარო იყო ყველაფერი, რასაც გარშემო ხედავდა. მან შექმნა ათასობით გამორჩეული დიზაინის მქონე ნივთი.



პიერო ფორნაჯეტი (1913-1988)

იყო ნამდვილი ფანტაზიორი: ინტერიერის დიზაინერი, მხატვარი, ილუსტრატორი და ბიზნესმენი, რომელმაც დიდი შრომის შედეგად, ექსცენტრიულობითა და სიჯიუტით მიაღწია მსოფლიო აღიარებას.

ფორნაჯეტის ავეჯი გამოირჩეოდა დეკორატიული ზედაპირებით, სტილის სიმკაცრით და ამავე დროს, ელეგანტური, იდუმალი იუმორის გრძობით. იგი უარყოფდა ფორმალურებს თავის შემოქმედებაში: "საგანის ფუნქცია არ უნდა განაპირობებდეს მის ფორმას და დეკორირებას, მოცულობა კი არ უნდა გვკარნახობდეს გაფორმების ხერხს." ფორნაჯეტიზე დიდი გავლენა მოახდინა ალორძინების ხანის შემოქმედებამ - ჯოტომ და პიერო დელა ფრანჩესკამ. დიზაინის სფეროში მან კარგი რეპუტაცია მოიპოვა ინდივიდუალური, განუმეორებელი სტილის ხარჯზე. სტილი, რომელიც დაფუძნებული



Architecture ivory



Curved chest palladiana



იყო ილუზიონიზმზე, არქიტექტურულ პერსპექტივებზე და რამდენიმე ლაიტ-მოტივზე.

ფორნაჯეტის შემოქმედების ყველაზე ცნობილი მოტივი იყო და არის იდუმალი ქალის სახე, რომელიც დიზაინერმა მე-19 საუკუნის ფრანგულ ჟურნალში აღმოაჩინა. მას ერქვა ლინა კავალიერი. მხატვარს ქალის სახის ნაკვეთები კლასიკურ ბერძნულ ქანდაკებას აგონებდა, მისი ღიმილი კი - ჯოკონდას. ის ერთ-ერთი შთაგონება იყო ფორნაჯეტის

შემოქმედებაში. დიზაინერმა გამოიგონა სხვადასხვა ვარიაციები ქალის პორტრეტის თემაზე, შექმნა 500 განსხვავებული გამოსახულება, რომელთაც ახატავდა ან აბეჭდავდა ავეჯს, კერამიკულ ნაწარმს,

ტექსტილს და ა.შ. ლინა კავალიერი გახდა ფორნაჯეტის საფირმო ნიშანი.



Chair moor red drape



Tema e variazioni plate

დიზაინერი მუშაობდა მილანში, სახლთან მონყობილ პატარა სახელოსნოში. მისი საიდუმლო იყო ნახატის გადატანის - ბეჭდვის ტექნიკა, რომელსაც თვითონ, ხელით ასრულებდა. ის თვლიდა, რომ ავეჯი შეიძლება იყოს თავიდან ბოლომდე დეკორირებული, უბრალოდ არ უნდა დაკარგოს თავისი უტილიტარული მნიშვნელობა. ფორნაჯეტი მეგობრობდა XX საუკუნის მხატვართან, ჯო პონტისთან, ისინი ერთად ქმნიდნენ და ავითარებდნენ მინიმალიზმისა და პურიზმის სტილებს. პიერო ფორნაჯეტის გარდაცვალების შემდეგ, მისმა შვილმა, ბარნაბა ფორნაჯეტმა გააგრძელა მამის შემოქმედება. ის დღესაც აწარმოებს ინტერიერის აქსესუარებს და ავეჯს. უფროსი ძეგლები ყველაფერს, რაც პიერო ფორნაჯეტის სახელს უკავშირდება. ცხოვრობს მამის სახლში, რომელიც საცხოვრებელ მუზეუმად იქცა. პიერო ფორნაჯეტის აფასებენ დეკორირების ორიგინალურობისთვის, იუმორისა და თვითირონიისთვის, აბრალებენ ცუდ გემოვნებას და ამავე დროს უნიჭოდ იმეორებენ.



სამზარეულოს ფორნაჯეტის კერამიკული ფილებით. დიზაინი ნატა ჯანაზარიძე, ქეთი თოლორაია.



ბაზრძილია.
დასაწყისი იხ.
№3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11
მალხაზ ხარბიძე

“ნარეცხ მაინც
მოუტანეთ ნარაყალ
ჭურჭელისა...”

ახლა კი მხატვრულ ლიტერატურაზე გადავალ და შევეცდები ყველა იმ “არყისტისა” თუ მემთვრალის შესახებ მოგიყვებ, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა რომანსა თუ მოთხრობაში რომ გადავწყვიტე. თუმცა რატომ მართო პროზაში, ლექსმა რაღა დააშავა! ხალხური პოეზიიდან მოყოლებული - თანამედროვეებით დამთავრებული ხომ არაერთს უხსენებია არაყი. მაგალითისთვის ერთს დავიმოწმებ, ჩემი აზრით საუკეთესოს, რომელიც წლების წინ იოსებ ბაიაშვილმა გამოთქვა:

ბაიაშვილ ავად გახდა,
მთვრალს შესცივდა ნუხელისა,
უცხელებენ ნიორ-წყალთა,
ეგ რა სნეულს უშველისა?!
ნარეცხ მაინც მოუტანეთ
ნარაყალ ჭურჭელისა?!
მართამა თქვა: დაიმეხოს.
სიკვდილი სჯობს უქნელისა!
მაგის საქმე არაყია,
შრომაში ხელუყრელისა,
ზომა რაით ვერ გაიგო
მაგ გასახეთქ მუცელისა?!
ავადმყოფმა დაიუბნა
მცნება დიდის რუსთველისა:
მაძღრის სიკვდილი სჯობავის,
მინამ უსმელ-უჭმელისა!

ეს ეხლახან იყო, რამდენიმე ათეული წლის წინ, აი ძველ ქართულ ლიტერატურაში, რა თქმა უნდა, ხსენებაც კი არა არყისა. მეცხრამეტედიან უკვე ხშირად ვხვდებით ამ სახელს და ძირითადად უფრო მთიელ ავტორებთან ან იმ ნაწარმოებებში, რომლებიც მათ ყოფას ასახავდნენ. ძალზე ხშირია არაყი იმდროინდელ ქალაქურ პროზა-პოეზიაშიც.

მაგალითად, ვაჟა-ფშაველასთან არაერთხელ შევხვდებით არყით სავსე პატარა ყანებს. ვისაც ნაუკითხავს, არასდროს დაავინწყდება მისი “საშობაო მოთხრობა”, სადაც უკაცო სახლში ბერიძე პაპა ჯერ ხინკალს ამოყრის ხონჩებზე, მერე სტუმრები “დაძინებულ ხინკლებს გამოავლიძებენ”, ბოლოს კი დედა თავის ვაჟს, ელიზბარს არყის ჩარეკასაც მიანვდის, “დაუსხი და დააღვივნე ემა კაცებსაო”. პირველი, რა თქმა უნდა პაპა დაილოცება: “დიდება ღმერთსა! ღმერთო, შენა სწყალობდე გამიხარდისა... იმის ცოლ-შვილსა, იმის ყოფა ცხოვრებას, იმის ამაგსა და მარჯვენას. მაიყვანე შინ მშვიდობით! ღმერთმა ვაცოცხლნესთ. გადღეგრძელნესთ ყველანი...”

ამის მიუხედავად, ვაჟას არყის სმისთვის რაიმე განსაკუთრებული ლიტერატურული ღირებულება არ მიუნიჭებია და სიმართლე ითქვას, ლუკა რაზიკაშვილი და არაყი რეალურმა ცხოვრებამ უფრო დაამძობილა, ვიდრე ლიტერატურამ. იგი ლოთი არ ყოფილა, მაგრამ დაღევა და დაჭიდება ძალიან უყვარდა და მთვრალი ვაჟას გამო დღესაც გაიგონებ კაცი ლეგენდებს. არაყს სვამენ ვასილ ბარნოვ-

თანაც. “თებერას დანიშნულში” მთავარი გმირის, ეონას დედა თავისი ქალიშვილის ბედზე დარდობს და იმასაც ამბობს მეორე ქმარზე: “დიდი განსაცდელი მოელის ჩემს ეონას ამისთანა დაუღვევარ და შეუღებელ მამინაცვლის ხელში. აქაო და ხანდისხან არაყს მასმევსო, დაიმეგობრა და სახლი შემოალახვინა ყველასაგან ავაზაკად მიჩნეულ კაცს, თვითონვე ხელს უწყობს იმის ბინძურ სურვილებს”-ო. ის ავაზაკად მიჩნეული კაცი, თევდორე კი ეონასადმი თავის მძლავრი სურვილის ჩასახვევლებად და დასათრუნად ეტანებოდა არაყს, რომელიც “უფრო და უფრო აღზნებდა მის გულში დატრიალებულ ცეცხლის აღს”.

ბარნოვის მოთხრობა “დედის ხელი” ბალიაურების მტკიცე ოჯახის აღწერით იწყება, სადაც შეძლებისა და სიძლიერის ნიშნად - გარდა ეროვნული თავმოძრული კასრებისა, კერის თავზე შამხად დაკიდული ფეშხობისა, ცხვრის დუმებისა, სვილითა და ფეტვით გავსებული კოდებისა - შინგამოხდილი არაყიც ჩანს, რომელსაც ყანით მიართმევენ ხოლმე სტუმრებს. ისინიც დაილოცებიან, შეაქებენ ხოლმე სასმელს და მხოლოდ ორიოდვეჯერ თუ შეავსებინებენ მასპინძელს ყანას, ასე იტყვიან: “ჩვენს კაცს მოჭარბებული ჭამა-სმა არ არგებს, შეამძიმებს”-ო. თუმცა ხშირად ისეც ხდება, რომ ე.წ. ნაკართანოს, ანუ სახლის ზღურბლის სადღეგრძელოს, რამდენიმეჯერ შეასმევენ სტუმარს, ჯერ ბჭესთან, მერე ეზოში, და თუ მასპინძელმა მოინდომა, ბევრ სხვა ადგილასაც.

კარგ ქეიფს კი ასე აღწერს ვასილ ბარნოვი: “ისე იქეიფა სოფელმა, როგორც ხატობაში. ბევრი დაილია წინწანაქარი. მრავალი წარმოითქვა ხევსურეთის შემწახველ მზეჭაბუკთა სადღეგრძელო. მოიგონეს გარდასული სახელოვანნიც. კარგი სიტყვა სტყორცნეს თვით განთქმულ მტრებსაც”.

არაყს ძალზე ცოტას სვამენ კლდიაშვილთან, სამაგიეროდ “ხალხოსნების”, მიხეილ ჯავახიშვილსა და ნიკო ლორთქიფანიძის გმირები (თავად ნიკო ლორთქიფანიძე წვეთს არ სვამდა, არაყს კი არა, ლვინოსაც არ ეკარებოდა) ხანდახან გადაკრავდნენ ხოლმე ცეცხლს. იყო დრო, როცა არაყს ჩაიბი აწვეთებდნენ პერსონაჟები, ანდა ლამაზი გრაფინების წკრიალით მიდი-მოდოდნენ სოლოლასის მალაქტირის ბინებში, ზოგჯერ კი, რომელიმე ბნელი რევოლუციონერი გაიღებოდა არყით და თავადის ქალს დაასობდა ამღვრეულ მზერას, ანდა პირიქით, კულაკი გაიწვედა რევოლუციონერის ქვრივზე. შემდეგ 50-იანი წლები მოვიდა და გურამ რჩეულიშვილი თავის გულახდილობით, მალე კი 60-იანელებიც გამოჩნდნენ. მართალია მაშინ ლვინო იყო მოდამი, ანდა ყავა და კონიაკი სასტუმრო თბილისის კაფეში, თუმცა იშვიათად, თავიანთი გმირებისთვის არაყსაც იმეტებდნენ.

ჭაბუა ამირეჯიბის “გორა მბორგალი” 90-იანების დასაწყისში გა-

მოიცა, მაგრამ იქ ერთი შესანიშნავი ისტორიაა მოთხრობილი ალკოჰოლიკების, ე.წ. “კავეზისტების” შესახებ, რომლებიც 1937-ში ჩაყარეს ციხეში და რაღაც სასწაულით გადაურჩნენ დახვრეტას. სჯობს თავად ავტორს მოვუსმინოთ: “ინტერნაციონალისტობა, როგორც თვისება, მე მგონია, პირველად არაყმა გამოუმუშავა ადამიანს. ლოთისთვის სულ ერთია, ვისთან ერთად დათვრება... კი, “კავეზისტები” ინტერნაციონალისტები იყვნენ, ეს “ორგანიზაცია” მრავალეროვანი გახლდათ. ჩეკისტებს დასმენა ჰქონდათ, - დემონსტრაციის მონაწილეს აპირებენ, ლოთებისთვის, როგორც შრომის ინვალიდებისთვის, პენსიის დაწესება უნდა მოითხოვონ... თუ არ დაუთვლია, “ლოთების ცოდვით” ან სტალინი მოკვდება, ან ბერია, ან ორივეო. ამას, გენაცვალე, “ტერორისტული განზრახვა” ეწოდებოდა... ოქმებში და საბრალდებო დასკვნაში ეწერა, რომ კონსპირაციისთვის თავის ძირგამომთხრელ,

ანტისაბჭოთა შეკრებებს “დილის ხაში” დაარქვეს... ამ საქმეში გადიოდა რუსი, გვარად მასლაკოვი, რომელსაც იმდენი ურტყეს, - თქვენი ორგანიზაციის სახელწოდება თქვიო, რომ ადგა თქვა, - “კგ”-ო. გამომძიებელი კინალამ სიხარულმა გადაარია, - ხომ ვათქმევინეო, და უფროსებს მოსვლა სთხოვა, - შემოდით, დაესწარიო, ოქმით დავაფიქსიროთო. შემოცვივდნენ, დასხდნენ, - გამიფრეო. გაშიფრა - “Как бы выпить, закусь!”

ამ რომანში სხვაგანაცაა არყიანი ეპიზოდები ბანაკის ცხოვრებიდან, არყით მთვრალი “ბლატნოები” რომ დაძრწიან ბარაკ-ბარაკ და შარს დაეძებენ, თუმცა ერთი პერსონაჟი განსაკუთრებით დამამახსოვრდა. როცა ეს კაცი (სახელად სილა) სვამდა, არამხოლოდ ყლუპების ხმა ისმოდა თურმე, არამედ “სითხის კუჭამდე თუ უფრო შორს ჩაჩხრიალებაც”.

პოეტებს შორის, ბესიკ ხარანაულმა ახსენა რამდენიმეჯერ არაყი, ხოლო მის ბოლო პროზაულ ნივთში მკითხველი შესანიშნავ ეპიზოდებს იპოვის, სადაც არაყს, არამხოლოდ ხდინან სვამენ, არამედ კარგ გემრიელ სიტყვასაც აყოლებენ. ნიგნს “ეპიგრაფები დავინყებულ სიზმრებისათვის” ქვია და იქ უკვე მეთხუთმეტე გვერდზე იპოვის არაყზე მონადირე კაცი კარგ მსუქან აბზაცს, სადაც მოთხრობლის წაწლისა და გულისწორის, სანთის ამბავს ამოიკითხავს: “მაღალად ჯანსაღი ქლიავეები ედგათ ლობების გაყოლებზე და ბლომად ხდიდნენ ქლიავე-ჭანჭურის არაყსა... ოო, როგორი ჟიპიტური იცის სანთამ!.. გემომინდა, წკრიალა, გვეგონება, მარტო წინწანაქარი უდინებია, ჩავდის ყელში და ბაგეები არ გეხურება, დაპარაკობ...”. ამ ნიგნის პერსონაჟებს შორის ოლა დეიდასაც შეხვდებით, ერთ დღეს თავის ძმისცოლზე გამწარებული რომ გადასულა მეზობელთან და ერთი ჭიქა არაყი მოუთხოვინა. მეორე ჭიქა რომ მონდომებია, ოლას უთქვამს “აბა, შემომხედე, ერთი ფეხითა ვარ მოსული თუ ორითაო”, მესამეზე კი “ღმერთი ორობით არის თუ სამობითაო?” დაბოლოს უკითხავს, “ოთხი სახარება არ შეგვეწიოსო?”

თავის დროზე, მე და ჩემი მეგობრებიც, როცა მხოლოდ “პახმელიაზე” გამოვდიოდით და 3-4 ჭიქაზე მეტის დაღევას ვიკრძალავდით, მხოლოდ მათე-მარკოზ-იოანე-ლუკას შეწევინას ვიტყოდით. თუკი გავაგრძელებდით, მათ საქმე მოციქულთა მოწყვებოდა, მერე კათოლიკე ეპისტოლეები, პავლენი და იოანეს გამოცხადება, და ბოლოს, თუკი ჭუჭუა არ დაგვიშლიდა, აპოკრიფული სახარებებზეც გადავიდოდით ხოლმე. თუმცა, იოანეს გამოცხადების მერე, როგორც წესი, აღარავის ჰქონდა ჭუჭუა!

ბაზრძილია
ბაიბაზ ნოზარძი



ტივტივა-ბენარატორების პარკი ელექტროენერგიით მთელ შტატს უზრუნველყოფს


მარაგ ლორთქიფანიკა

ენერგეტიკული კრიზისების დროს, მეცნიერები ელექტროენერგიის მისაღებად ახალ წყაროებს იგონებენ. ან ეს ხდება იმის გამო, რომ ადამიანებს ტარბად მოეპოვებათ ელექტროენერგიის წარმოებისთვის საჭირო რესურსები. ახალი წყაროების მოძიება იმისთვისაც ხდება, რომ შემსუბუქდეს ეკოლოგიაზე მავნე გავლენა. ასეთები ენერგიის განახლებად წყაროებად მოიხსენიება.

განახლებადი წყაროებია მდინარეები, ქარი, ზღვები, მწვანე ნარგავები და სხვა. ადამიანი იყენებს ნახშირწყალბადების, მდინარის, ატომურ, მზის, ქარის, ზღვის მოქცევის ენერგიას მწვანე მასის ენერგიას და სხვა. მაგრამ ისეთი წყარო, როგორცაც ორეგონის შტატის მეცნიერებმა მიაგნეს, აქამდე არავის გამოუყენებია. ესაა ტალღის ენერგია, რომლის ელექტროენერგიად გარდაქმნის ორიგინალური პროექტი მოამზადეს შტატ ორეგონის უნივერსიტეტის ძრავების სისტემური კვლევების ლაბორატორიის თანამშრომლებმა ანეტ ფონ იოანმა და ალან უოლესმა. ესენი არიან მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში აღიარებული სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ ელექტროძრავებისა და ისეთ მექანიკურ საშუალებათა შექმნაზე, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ტალღების ენერგიის ელექტროენერგიად გარდაქმნა.

მათი ლაბორატორიის მუშაობს ერთ-ერთი მიმდინარეობაა სხვადასხვა ტიპის გენერატორების შექმნა, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა ელექტროენერგიის ალტერნატიული წყაროებიდან გამომდინარე. ამჯერად მკვლევარებმა საზოგადოებას წარუდგინეს მონაცემები, რომელსაც ელექტროენერგიის გამოყენება ჩვეულებრივი ტალღიდან შეუძლია.

“ოკეანის ტალღებს მათგან ელექტროენერგიის მისაღებად უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია. ტალღებში ძალიან დიდი ენერგიაა კონცენტრირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ შედარებით მცირე ფართობიდან შესაძლებელია დიდი სიმძლავრის ელექტროენერგიის მიღება”, - ამბობს ფონ იოანი.



ტალღების წინასწარი შესწავლის შემდეგ გადამყვანად, მოემზადებინათ მოტივტივე აგრეგატები, რომლებიდანაც მცირე ლეღვის დროსაც კი შესაძლებელი იქნებოდა ელექტროენერგიის გამომუშავება. ამ შემთხვევაში სულაც არ იყო აუცილებელი ძლიერი შტორმული ტალღები, რადგან ჩვეულებრივ ზღვის ტალღებსაც საკმარისად დიდი ენერგია გააჩნიათ.

ორეგონელებმა თავიანთი აპარატის ცენტრში მოათავსეს მაგნიტური ლერძი, რომელიც რკინის, ნეოდიმისა და ბორის შენადნობისგანა დამზადებული. ნობილია, რომ ამგვარი შენადნობისგან ყველაზე მაღალხარისხის მუდმივი მაგნიტები მზადდება. ლერძი მდებარეობს ტივტივას კორპუსზე შიგნიდან დამაგრებული კოჭას შუაში.

ლერძის ერთ ბოლოზე მიბმულია ბაგირი, რომლითაც ტივტივა ზღვის ფსკერზე მაგრდება. კონს-

ტრუქცია, რომელიც ელექტროგენერაციაზე მუშაობს, ტივტივას შიდა მოცულობის მხოლოდ მცირე ნაწილს ავსებს. დანარჩენი მოცულობა კი ჰაერს უკავია, რისი წყალობითაც, დანადგარი წყალზე ტივტივებს, ბაგირის მეშვეობით კი ის მუდმივად ერთ ადგილზე მდებარეობს.

თავის მხრივ, ლერძი ტივტივას კორპუსის შიგნით ხისტად როდია დამაგრებული. მას ორივე ბოლოში ზამბარა ზღუდავს. ტალღის რხევების შესაბამისად, ლერძიც ზევით-ქვევით გადაადგილდება და ზამბარების მეშვეობით იცვლის მოძრაობის მიმართულებას. მაგნიტური ლერძის სწორედ ამ გადაადგილებების შედეგად, კორპუსზე დამაგრებულ კოჭაში ელექტროენერგია აღიჭვრება.

ორეგონელი გამომგონებლები რეკომენდაციას იძლევიან, რომ მათ მიერ შექმნილი ტივტივა-ელექტროსადგურები ნაპირიდან 2-3 კილომეტრში განლაგდეს, სადაც ზღვის სიღრმე 30 მეტრს არ აღემატება. მათი თქმით, უფრო შორს ტივტივების განლაგება არასასურველია, რადგან დიდი ტალღების გამო, ისინი ძნელად შესამჩნევი გახდება.

ამასთან, რეკომენდებულია ტივტივების ეგრეთ წოდებული “ტალღური პარკის” შექმნა, რომელშიც ისინი ერთმანეთისადმი ვარკვეული მიმდევრობით განლაგდებიან და მათთვის სპეციალურად გამოყოფილ

ტერტორიას დაიკავებენ. რა რაოდენობით ელექტროენერგიას გამოიმუშავებს “ტალღური პარკი”, ამის თაობაზე გამომგონებლებს ჯერ ზუსტი გათვლები არ უნარმოებიათ. თუმცა, დაახლოებითი დაანგარიშებით, “ტალღური პარკი”, რომელიც 25 კვ.კილომეტრს დაიკავებს, ელექტროენერგიით უზრუნველყოფს ორეგონის მთელ შტატს.

ტივტივების “ტალღური პარკის” პერსპექტივებზე საუბრისას, ფონ იოანი ირწმუნება, რომ პროექტის წარმატებულობისთვის ერთ-ერთი მთავარი საქმეა ტივტივების ზღვის ფსკერზე საიმედო დამაგრება. ჩატარებულმა პირველმა ცდებმა აჩვენა, რომ ორეგონელთა ტივტივებს ძლიერი ლეღვის დროსაც შეუძლია მუშაობა და ისინი შტორმულ ტალღებსაც კი უძლებენ.

თუმცა, როგორც უოლესი ირწმუნება, ტალღური ენერგეტიკა დაახლოებით 15-20 წლით ჩამორჩება ქარის ტურბინების განვითარების დონეს. მეცნიერი ვარაუდობს, რომ განვითარების პირველ ეტაპზე, ტალღური ელექტროენერგია საკმარისად იქნება. მაგრამ მომდევნო ეტაპზე, როცა კაცობრიობა დაინახავს, რომ ენერგიის ეს წყარო კონკურენტუნარიანია, მისი ფასიც საგრძნობლად დაეცემა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ტალღური ენერგეტიკა ჯერაც არ არის მრეწველობის განვითარებული დარგი, მისი ფუძემდებლები უკვე ფიქრობენ “ტალღური პარკის” განვითარებისთვის საჭირო ტექნოლოგიის შემუშავებაზე. ტივტივების პარკის შექმნა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. სამაგიეროდ, ჯერაც არაა გადამწყვეტილი, სად უნდა განთავსდეს საკუთრივ ელექტროსადგური, რომელიც ტივტივიდან მიღებულ ენ-

ერგიას თავს მოუყრის და მომხმარებლისთვის ვარგისს გახდის.

თავიანთი მსხვილმასშტაბიანი ექსპერიმენტის ჩასატარებლად, ორეგონელებმა უკვე მოძებნეს გამოსავალი. ისინი ელექტროსადგურს განათავსებენ ქალაქის გადამამუშავებელ მიტოვებულ ფაბრიკაში. ფონ იოანის თქმით, სწორედ ამ ფაბრიკის ტერიტორიაზე განთავსდება ტალღური ენერგეტიკის მსოფლიო ცენტრი.

“ჩვენ საფუძველს ვუყვართ ინდუსტრიის სრულიად ახალ ტიპს. ქალაქის მიტოვებული ფაბრიკის ადგილზე მალე ტალღური ენერგეტიკის მსოფლიო ცენტრი შეიქმნება. შტატის სანაპირო ზოლში ჩვენ შევქმნით “ტალღურ პარკებს”, რომელთა მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგია სრულად დააკმაყოფილებს ჩვენი შტატის მოთხოვნილებას. გარდა ამისა, ჩვენ ახალ სამუშაო ადგილებსაც შევქმნით”, - ამბობს ფონ იოანი. ცოტა არ იყოს, თამამი ნათქვამია, თუმცა იმავდროულად მისი დანაპირები, სულაც არაა რეალობას მოკლებული.

ორეგონელთა პროექტმა დიდი ინტერესი გამოიწვია მთელს ამერიკაში. მათ ნაშრომზე წერენ პოპულარული ამერიკული გამოცემები. თუმცა, ეს რა მოსატანია იმასთან, რომ ტალღური ენერგეტიკის პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც კი ფინანსდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორეგონელთა ნაზრევით სახელმწიფო დაინტერესდა.

ტივტივა-ელექტროსადგურების პროტოტიპების პირველი გამოცდების შემდეგ ნამოიჭრა ახალი საკითხები, როგორიცაა მაგალითად მათი ზემოქმედება გარემოზე - გასარკვევია, ტივტივა გენერატორების მაგნიტური ველი უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს ზღვის ბინადრებზე და ჩიტებზე. პარალელურად ხდება ტივტივების კონსტრუქციის და მათი სამაგრი სისტემების დახვეწა, წყალქვეშა კაბელების მომსახურების პროცესის ოპტიმიზაცია და ასე შემდეგ.

პროექტის შექმნის საწყის ეტაპზე, ორეგონელმა გამომგონებლებმა სხვადასხვა ორგანიზაციისგან (მათ შორის, ეროვნული სამეცნიერო ფონდიდანაც) გრანტების სახით დაახლოებით 270 ათასი დოლარი მიიღეს. თუმცა, ეს ზღვაში წვეთია იმასთან, რაც პროექტის მეორე ეტაპის განსახორციელებლად საჭირო. ამ ეტაპზე ტალღური ენერგეტიკის განვითარებისთვის უკვე 5 მილიონი დოლარია მოთხოვნილი. წინასწარი მონაცემებით, ამ თანხას მთლიანად დაფარავს აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტი.

მოკლედ, ორეგონელთა პროექტი სამრეწველო დებიუტისთვის ემზადება და ვინ იცის, იქნებ ნამდვილ რევოლუციასაც უმზადებს ინდუსტრიის დარგს სახელად ელექტროენერგეტიკა...



პროექტის ავტორები თავიანთ ტივტივა-გენერატორთან.

კიდობანი დიდია...

პირველი ნაწილი

... თავის ქვეყანაში ძირძველ ერს თუ დაკარგული აქვს ზნეობრივი უპირატესობა, მის ეთნოსში სხვადასხვა მიზეზის გამო შემოჭრილ სხვა ერების თავისკენ გადმოხიზება გაუჭირდება...

... სიმრავლე სამართლიანობას როდი ნიშნავს... შეიძლება ერთი ლოკალური მართალი იყოს, დანარჩენები სტყუოდნენ, მეტიც - შეიძლება ყველა ჯოჯოხეთისკენ გარბოდეს, ხოლო ერთი - სამოთხისკენ... გვახსოვდეს - ქრისტე ჯვარს აცვა უმრავლესობამ...

ყველა კამათი ჩხუბით მთავრდება, ზოგჯერ დიდი აყალმაყალითაც... ვისლა ახსოვს ამ დროს ქემპარიტება?!

ერთი პატიოსანი მთელ სოფელს აპატიოსნებს... თუ სოფელში ასეთი არავინაა, მაშინ ერი მოსახლეობა და ყველა თავჩაღუნული, თავთავისთვის ცხოვრობს, უფლის და პატრონობს მხოლოდ საკუთარს...

...სიმართლე იმდენია, რამდენიცა ვართ, ქემპარიტება კი ერთია და მას საქართველო ჰქვია... ესაა ჩვენი წუთისოფლის ალბათ მთავარი აზრი.

შუალამისას, ზოგჯერ უფრო გვიანაც, როცა სოფელი მთავარ ძილს მიეცემოდა, უჩუროდა ლოგინიდან ვდგებოდი და გულსიფანცქალით, ფეხაკრევით მისკენ მივებართებოდი...

იგი დიდ ოთახში, სასურსათო კარადის გვერდით იდგა და გამოგნებელი სურნელი ასდოდა...

იატაკის ძველი, ცივი ფიცარი თუ ფეხქვეშ დაიკვებებოდა, გავიწინებოდი, ვაითუ ვინმე შევაშოთო-მეთქი. მერე მეტი სიფრთხილით ნელინელ მივუახლოვდებოდი, სახურავს ავხედდი...

... საბანქეშო ჩემს ნეტარებას საზღვარი არ ჰქონდა...

მერე, წლების შემდეგ, ორივემ - ბიძაჩემმა (დედის ძმამ), ძია ლელომ და მისმა მეუღლემ, დეიდა დარეჯანმა მიხილეს:

- ქალაქელი იყავი და კერძის დროს იბრუნებოდი... ლამაზობით პურისთვის რო მიდიოდი, არ გვეძინა... გავიტრუნებოდი, ვფრთხილობდი - ხელი რო არ შეგმლოდა და პური მაინც გეჭამა...

... უღმობელმა დრომ ყველაფერი შთანთქა - სურნელოვანი პურით სავსე კიდობანი, ტყვიავის შიშანი დღეები... მარადიულ ხსოვნაში დამრჩენენ ბიძაჩემი ლელო და მისი მეუღლე დარეჯანი, მაშინ გული რო ასე გამითბეს...


გამითბეს მთელი ცხოვრების სამყოფად...

... სიბერემ, თუ ამ ბოლო დროს უნივერსიტეტში მომხდარმა ამბებმა, როგორც ჩანს, ცუდად იმოქმედეს - ერთ ცივ ღამეს სოფლიდან თბილისის საავადმყოფოში აღმოვჩნდი... დღენახევარი უგონოდ ვიყავი. მერე ექიმებმა იმარჯვეს, თვალი გავახილე და ნეროსავით ცალფეხა წვეთოვანი დავინახე...

მკურნალობა ხარჯიანი იყო, ფულს ძირითადად ითხოვდნენ მომსახურენი, ექიმები, მათთან შედარებით - ცოტას...

საავადმყოფო მხიარულების ად-

ცნობილი ფოტო და ტელე-ჟურნალისტი, მრავალი ჟურნალისტის აღმზრდელი სანდრო მამასახლიანი სოფელში გადაბარგდა და დროდადრო, როცა ფიქრი და დარდი მოეძალდა, იქიდან გვეხმარება ხოლმე. თანაც ყოველ ჯერზე გვთხოვს, მკითხველი აუცილებლად გააფრთხილებ - აბა, ჩვენ რა ვიცით, დაბერდა ეს ჩვენი სანდროკა და ხანდახან მწარე-მწარეებსაც გამოურევს ხოლმეო. ამ თხოვნასაც ვუსრულებთ და მისი დიდი კიდობნიდან ტკბილ-მწარე ფიქრებსაც გთავაზობთ.



გილი არ არის, მაგრამ წარმოიდგინეთ, იქაც იყო ხალისიანი წუთები - შუალამეს ჩემი პალატის კარები უცებ ფართედ, ხმაურით გაიღებოდა და სიბნელიდან ვილაც რიხიანად შემომძახებდა - აბა, ტრიკოტაჟი, მაისურები, ჯინსები, ბოტასები... მცირე ხნის შემდეგ მას ენაცვლებოდა - აბა, ახალი ყველი, კარაქი...

...მეცინებოდა, მეუღლე კი ცოფებს ყრიდა - ასეთი უმსგავსობა ჩვენთან, ლიტვაში, წარმოუდგენელია...

მე ჩემსას ვაპასუხობდი - რუსმა მის ღამაზე ქვეყანაში მარტოოდენ ერთი თაობის განმავლობაში იბოგინა, ლიტველთა მორგება ვერ მოასწრო, ჩვენთან კი... ორი საუკუნე!

ახლახან (ისტორიის თვალსაზრისით), საუკუნის უკან, ილია ოცნებობდა - ნეტავ, ქართველმა ვაჭრობა ისწავლოსო...

...ქურდობის შემდეგ, ქართული ეთიკით ყველაზე არამი ფული, მაშინ ვაჭრობაში იყო...

დღეს კი, დახლის გულისთვის თავს ვიკლავთ...

ანექსია ჯარით იწყება და ამ ჯარის მეომართა ოჯახის ჩამოსახლებით მთავრდება - მოაქვთ თავიანთი ყოფა და, რაც მთავარია, მოაქვთ თავიანთი ენა...

მგონი მესამე და საბოლოო ანექსიისათვის საქართველო გამზადებულია...

...ნუ დამზარდებით, ჩართეთ ტელევიზორი, მოუსმინეთ დეპუტატებს, რეკლამის დიქტორს, საზოგადოების ზოგიერთ აქტიურ წევრს... ნახეთ, რა დაურიდებლად იქცევიან, რა პროვინციული სიჯიუტით შემოაქვთ არაქართული, თუმცა შესატყვისი ჩვენს ენას ბევრზე ბევრი აქვს. ეს მრავალი მიზეზით ხდება, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ სკოლაში არ უსწავლიათ...

არენა (სარბიელი, ასპარეზი, მოედანი...), პოსტი (საგუშაგო, საყარაულო), კლიმატი (პავა, ტაროსი - ამინდი), სკანდალი (დავიდარაბა, აყალ-მაყალი, ალიაქოთი, შეხლა-შემოხლა), კურიერი (მიკრიკი, დამტარებელი, მეამანათე), ფორტუნა (ილბალი, ბედი), კორიდორი (დერეფანი), ბარიერი (ჯებირი, ზღუდე, დაბრკოლება), პედალი (სატერფული), პროდუქტი (სურსათი), პროდუქცია (ნაწარმი), მეტალი (ლითონი) და სამწუხაროდ, ასე შემდეგ... მოკლედ, რუსული ლექსიკა კონტრპეტუვაზეა გადმოსული, ქართულს უმონყალოდ ანადგურებს. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ პროცესის შეჩერება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მტარვლის სამხედროებისაგან ქართული მიწის განმეხდა...

დაკინებულნი ენა არა მარტო სულს ამახინჯებს, იგი ფსიქიკასაც რადიკალურად ცვლის. აი ყველაზე კამკამა არგუმენტი - ქართულის კარგი მცოდნე, კუჭის და ჯიბის ამოსასვებად, უცხოეთს არ გაიქცევა, სამშობლოს, მით უმეტეს ესოდენ მძიმე დღეში, ცოცხალი თავით არ მიატოვებს.

რუსეთის ისტორიის აქტუალური პერსონაჟი, სინამდვილეში კი მა-

კბს. ქართულს მართლა საოცარი თვისება გააჩნია - თუ მისთვის თავს არ დაზოგავ, შენს სულში მის ჯიშთან ნერგებიდან ბაღნარს გაიშენებ, ყველაზე ძვირფასს, რაც მზისქვეშეთშია, იმას მოგიძღვნის - სამშობლოს შევაცვარებს... და შენს სიცოცხლეს აზრი გაუჩნდება!

ქართულს ისეთივე მოვლა-პატრონობა ესაჭიროება, როგორც ვაზს... მისი სეტყვა, წარღვნა, ღვარცოფი, უაუფრობა და ქარბუქი ჩვენში რუსულის დიქტატურაა. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, დაბრკოლების გარეშე, ვრცელდება რუსეთის სატელევიზიო ყველა არხის სიგნალი. ადგილობრივ სტუდიებს "ეზარებათ" თარგმნონ რუსულენოვანი ფილმები, "პირველი სტერეო" რუსულად ამეტყველდა, ჩვენს რადიოეთერში კვლავ რუსული ჭარბობს... რა არის ეს? თუ დოქტორბაა, კიდევ გვეშველება, მაგრამ თუ ეს მტარვალის პოლიტიკის ნაწილია?

მერამდენე საღამო საქართველოს მოსახლეობა რუსულ "ფაქიზ" სულიერ სამყაროში ამყოფა ტელეარხმა, რატომღაც "იმედად" წოდებულმა - საბრალო საქართველო და არა "ნასტია"... ანექსია ჯარით იწყება და დამპყრობის ენის დამკვიდრებით მთავრდება...

როგორც ჩანს, ამჯერად მხოლოდ ჯარი დასჭირდებათ, დანარჩენს რუსულის "კარგი" მცოდნე ქართველობა გააკეთებს...

პანანკინტელა საქართველოს უკიდვაროდ დედაქალაქი კვლავაც დიდდება, ნთქავს ახალ სივრცეებს, ბალებსა და სავარგულებს, უძღვები კანიბალითი ისრულავს ახალგაზრდობას, უწილებს ეროვნულ თვითშეგნებას, უცივებს მამულისადმი სიყვარულს...

...დედამინაზე მგონი მხოლოდ საქართველოა, რომლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი დედაქალაქში ცხოვრობს... გეკითხებით, რა ეკონომიკა გაუძღვება ამას?! სოფელთან შედარებით ქალაქელი ოცჯერი (20!) მეტ ხარჯს საჭიროებს, თანაც მარტო იმისათვის - სხვა მოთხოვნილებების გარეშე, ქალაქში ცხოვრება რომ შეძლოს... იმ თანხებით, რომელსაც ამჟამად თბილისს ახარჯებენ, მთელი საქართველო ბაღნარად გადაიქცეოდა... რად გვინდა "კომფორტული" დედაქალაქი, თუ თავად ქვეყანა ასეთი მოუნყოფელი გვექნება?!

რუსეთის შემდეგ საქართველოსთვის ყველაზე დიდ ხიფათს მისი დედაქალაქი წარმოადგენს... კიბოს სიმსივნესავით, იგი ყველა მიმართულებით მეტასტაზებით იტყორცნება, ანგრევს და ხრწნის ქვეყნის სასიცოცხლო ორგანოებს, გვასუსტებს და გვაჩანავებს...

რუსეთის ისტორიის აქტუალური პერსონაჟი, სინამდვილეში კი მა-

რავის ყაჩაღი ერმაკი, რუსი ხალხის ცნობიერებაში დიდების შარავანდედითაა მოხილი... ხალხი მას, როგორც "ახალი" მიწების შემავრთებელს, სიამაყით მოიხსენიებს... საერთოდ, მეზობელი ქვეყნის დაპყრობა რუსული მენტალიტეტისათვის ჩვეული, იმავდროულად სასურველი ქმედებაა... ამიტომ ბავშვური გულწრფელობით უკვირს, ორი საუკუნის წინ დაპყრობილი საქართველო დღეს, რატომღაც, ურუსეთოდ ცხოვრებას რომ ლაბობს...

აგრესიულ საგარეო პოლიტიკას, ბუნებრივად, ესაჭიროება და ესაჭიროება შესაბამისი კულტურულ-ზნეობრივი მოტივაცია, მისი იდეოლოგიის მრავალფეროვანი სულიერი მემკვიდრეობა გაუღწეოდა ქედმალური, ფსევდომისიონერული რიტორიკით. ბუნდოვანი, მაგრამ მაღალფარდოვანი მსჯელობებით, რაღაც უნიკალურ სულიერებაზე, რუსეთის სულის ამოუხსნელ საიდუმლოებაზე...

ომი, როგორც მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტური საშუალება, რუსეთის მოკლებულია ტრადიციულ შინაარსს და იგი მისი ცხოვრების თითქმის ჩვეული ნაწილია... ავღანეთზე ყაჩაღური თავდასხმის დროს რუსეთის ხალხი, როგორც ყოველთვის, დუმდა, დუმდა მამინაც, როცა იქიდან, ერთმანეთის მიყოლებით, თუთის კუბოში ჩანყობილ თავის შვილებს ლებულობდა, დუმს დღესაც, თუმცა პუტინის მოსკოვი ჩეჩნეთში ნამდვილ გენოციდს ახორციელებს...

მხოლოდ რუსულ კულტურაშია ომის ატრიბუტიკა ესოდენ ღვთისნერი, მარტო მათ პოეზიაშია ასე ნაზად მოფერებული ტანკი, ზარბაზანი, სანგარი, მყარალი "პარტიანკა" (წინდის შემცვლელი ჩერის ნაჭერი), მიწური, ტყვია, გრიგალისებრი ზარბაზანი ("კატოუშა"), ტყვიამფრქვევიანი, სამცხენებმული ეტლი ("ტანანკა"), არტილერია... ომის მუდმივი მომლოდინე რუსეთი, თავის სოფლებსა და ქალაქებს, მრენველობას შესაძლებელი სამხედრო შეტაკების გათვალისწინებით აშენებდა - სადაც კი შეეძლო, ქმნიდა თავშესაფრებს, სურსათის საგანგებო საწყობებს, ხოლო მატარებლებს, სატვირთო მანქანებს მარტოდენ მწვანე ფერში ლებავდა, რათა ბალახის ფონზე მტრისთვის შეუშინველი გამხდარიყო... ნებისმიერი ნაწარმის ვარგისიანობის განსაზღვრისას დღესაც მექეზის, უმაღლესი ხარისხის სინონიმი სიტყვა "სამხედროა".

...თვით უშუქინიც კი, რუსეთის პირველი პოეტი, კავკასიის ხალხის დაპყრობაში ცუდს არაფერს ხედავდა - "...ბედს შეურიგდი კავკასიავ, ეროლოვი მოდის..." არადა, ეს პირსისხლიანი გენერალი, კავკასიის უსასტიკესი ჯალათი, პოეტის ნაწერებში არაერთხელაა კეთილი სიტყვით ნახსენები...

ვენებისა და ტემპერამენტის გამოხატვაში ჩვენმა ესტრადის "ვარსკვლავებმა" მგონი რუსები დაჯაბნეს... თუ რუსი მიკროფონს ჩაბლაუჭებული, უკაცრავად, მომღერალი გაჰყვიროს "ალიასკა დამიბრუნეთო", ან "დღესაც საბჭოელი ვარო", ჩვენი, თვითნასწავლი "მგალობლები", მუდმივად ორგაზმში მყოფნი, დაუფარავად, ურცხვად ითხოვენ სექსობრივ პარტნიორს - "მინდინარ, სადა ხარ... მოდი, მოდი ვიკოცნაოთ... ველარ დავიციდი, სიყვარული მინდა... უფრო მაგარი მინდა... შენი უფრო მინდა... შეგიყოფ და გამოგიყოფ, მაგრამ ცოლად არ შეგირთავ... ვიკოცნაოთ, მთელი ღამე ჩვენია..."

... არია ქვეყანა - ქალი დაბიჭდა, უკაბოდ, ნიფხვის ამარა, ურცხვად, მთელი ქვეყნის წინაშე ხტულობს, ტლინკებს ყრის, გამობერილი ტიტულიკანა მუცლითა და სინათლეზე უნამუსოდ გამოტანილი ჭიპით თავს ეგანონებს, წივის და კივის, ქალი თუა, უცებ ვერც მოუხვდება...

სამაგიეროდ, ვაჟები დაქალდნენ, განაზდნენ, ხმები "გაიფაქიზეს", თავები მოიხილავანდეს, საყურები გამოიბეს, სუნამო მიიპურეს, სახმარი დედაკაცივით აყროლდნენ, აშმოინდნენ... კვენსამდე დანული ხმით "უმღერობან" ნითელ-ყვირით ჩიტუნებს, გვირტუნებს, იებს, ტიტებს, ყაყაჩობებს, დილის სიოს, გაზაფხულის ნიავს, თოვლის ფანტელებს, თვალებს ნაბავს, ცქმუტავს, ოხრავენ...

... არადა, მტარვალს შიშის ზარს სცემდა ქართველი... როცა "შავლეგოს" დასტყუებდა!

...მაშინ, იმ წყევლ 21 წლის თებერვალში, საქართველოს მზე მართლა ჩაქრა... უკუნეთში იმარჯვა ჯულაშვილმა - მტრის ჯარით სამშობლო დაიპყრო, მერე პირველ ბოლშევიკს ულიანოვს დაეჯვალა - ქართველებმა თავი რომ აღარ ნამოჰყონ, მომეცი უფლება, დიად რუსეთის ეს ახალი შენაძენი ავტონომიად გავაფორმოო...

მაგრამ დახეთ საკვირველებას, ასეთი უნამუსობა საკონცენტრაციო ბანაკების გამოგონებელმაც კი ვერ გაბედა... იუდაიმ იხტიბარი არ გაიტეხა - თავისი ერთი მტკაველა სამშობლო ავტონომიებით დასერა, რომ მტარვალს მართვის საიმედო სადავეები მომავალშიც ჰქონოდა...

ესეც არ იქმარა და თავისი ბანდის წევრებს ჯიშინი ოჯახები აშოაწყვეტინა. ამისათვის ათი წელიწადი დასჭირდა. მოსპეს ქართული ჯილაგი, ღირსება და სული.

... ღმერთი ლტორიდა, ბრბო კი ბელადს ტაშით ეგებებოდა... დღემდე ოვაციები არ წყდება...

ლიბირი შვლიჩი

ერაკლე მეფის უკანასკნელი ცდა

1747 წლის ივნისში ირანის მისი-ხანე დიქტატორი ნადირ-შაჰი შეთქმულებმა საკუთარ კარავში მოკლეს. მის მიერ შეკონინებული უზარმაზარი იმპერია სწრაფად დაიშალა.

იმავე წლიდან ქართლისა და კახეთის სამეფოებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ერთეულებს - სამეფო-სახანოებს შორის მწვავე ბრძოლა რეგიონში ჰეგემონიისთვის. ამ ბრძოლაში თანდათან გამოიკვეთა, ქართული სამეფოების უპირატესობა. კონკურენტ მეზობელ მმართველებთან ნარმოებულ ბრძოლებში არაერთხელ გამარჯვებული ახალგაზრდა ქართველი მეფის ერეკლე მეორის სახელი ახლო აღმოსავლეთს და ევროპას მოედო. "პრინცი ერეკლეს" ძლიერ მოსილებზე აღფრთოვანებით წერდნენ პარიზის, ლონდონის, ბერლინის, ვენციის, სანკტ-პეტერბურგისა და სხვა ქალაქების გაზეთები.

ევროპელების სიმპათია და რომანტიკული გატაცება "პრინცი ერეკლეს" პიროვნებით იმდენად ძლიერი იყო, რომ მათ ქართველი მეფის სახელის მითოლოგიზაცია მოახდინეს, გადაჭარბებით აღწერდნენ მის გამარჯვებებს, წინასწარმეტყველებდნენ, რომ ერეკლე მალე ისპაჰანს აიღებდა და ირანის შაჰის ტახტს დაუფლებოდა, რომ მისი დიდი შიში ჰქონდათ ოსმალეთის ხონთქარს და დიდი მოგოლის შაჰს.

ზოგიერთი "გადაჭარბება" არც იყო საფუძველს მოკლებული. ცნობილია, რომ მამა-შვილი მეფეები თიშიურაზ მეორე და ერეკლე მეორე რუსეთის იმპერატორს ელისაბედს სთავაზობდნენ, თუ ეს უკანასკნელი ჯარიონ ან ფულით მინც დაეხმარებოდა ქართველებს, მაშინ ერეკლე მეორე ირანში ილაშქრებდა და იქ რუსეთისათვის სასურველ კანდიდატს დასავამდა შაჰის ტახტზე. ერეკლეს საამისო პრეტენზია და ალბათ, შესაძლებლობაც გააჩნდა.

ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ ირანის ტახტზე სამი ყველაზე რეალური პრეტენდენტი გამოიკვეთა. პირველად, თბილისის ამაონრებელი ალა მამადა-ხანის მამა - მოჰამად შასან-ხანი გაძლიერდა, რომელიც 1749 წელს ერეკლემ სასტიკად დაამარცხა.

ტახტის მეორე მაძიებელი ეკონომიკა, ხანი გახლდათ, რომლის საარაკო დამარცხებაც ერეკლეს მიერ 1751 წლის 28 ივლისს, ყირხულუხანის ბრძოლაში, კარგადაა ცნობილი. ქერიმ-ხან ზენდი, რომელმაც ყველა მოწინააღმდეგეს სძლია და მინც ერეკლე გაბედა შაჰის გვირგვინის დადგმა, ერეკლესთან კეთილგანწყობილებას ეძებდა.

ასეა თუ ისე, 1750-იანი წლებიდან თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, ქართლ-კახეთის სამეფო მთელს კავკასიაში უძლიერესი სახელმწიფო გახლდათ. ეს იყო მცირე რენესანსის ხანა საქართველოს ისტორიაში. შესამჩნევად აღდა ქვეყნის ეკონომიკა, მეურნეობა, ვაჭრობა, გამოცოცხლდა კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრება, მწერლობა, მოლონიერდა ქალაქები... მაგრამ ეს ყველაფერი პირობითი იყო. გეოპოლიტიკური ვითარება უაღრესად მძიმე რჩებოდა: პატარა და დამოკიდებული საქართველო, რომელსაც გაერთიანების პერსპექტივა, იმჟამინდელ საერთაშორისო ვითარებაში არ გააჩნდა, სამი მასზე ძლიერი შეურევრებული მტრის გარემოცვაში იმყოფებოდა: ოსმალეთის, ყიზილბაშური ირანის და ლეკიანობის.

ამიტომ ერეკლე მეორის ცხოვრებაში, ერთი დღეც არ ყოფილა, რომ მას ძლიერი მოკავშირის ძიებაზე არ ეფიქროს. ქართველ პოლიტიკოსებს ესმოდათ, ქართლ-კახეთის სიძლიერე ორ გარემოებაზე იყო დამოკიდებული: 1. მეფე-თვითმპყრობელის სიძლიერეზე და 2. მეტროპოლისის დასუსტებაზე. ჯერ კიდევ ზურაბ ავალიშვილმა შენიშნა ერთი კანონზომიერება საქართველოს ისტორიისა: როგორც კი ჩვენი

მეზობელი რომელიმე დიდი იმპერია დაიშლებოდა ან დასუსტდებოდა, მაშინვე კავკასიისა და წინააზიური მასშტაბითაც, ეს იწვევდა საქართველოს გაძლიერებას და რეგიონში მის ჰეგემონიას.

ქართლ-კახეთის გაძლიერებაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო განაპირობა ამ ორმა გარემოებამ: ნადირ-შაჰის სიკვდილმა ირანი დაასუსტა და დაშალა, ხოლო ქართული სახელმწიფოს სათავეში აღმოჩნდა ძლიერი პიროვნება, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი და სწორუბოვარი მხედართმთავარი ერეკლე მეორე. მიუხედავად ამისა, არ არსებობდა არავითარი გარანტია, რომ ორივე ზემოაღნიშნული ფაქტორი მუდმივი იქნებოდა.

ყველაზე საუკეთესო, რაც ირანულ-ოსმალური გარემოცვის პირობებში საქართველოს ელოდებოდა, გახლდათ "შვიდობიანი ირანიზაციის" ხანაში დაბრუნება, ოღონდ, ქრისტიანი მეფეების უფლებით - ირანის ბატონობის აღიარება. "შვიდობიანი ირანიზაციის" ეპოქა კი საქართველოსათვის, სისხლის წვეთების პერიოდის შემდეგ, ამოსუნთქვის, სულის მოთქმის და მოჩვენებითი აღმავლობის ხანა იყო, თანაც, მტკიცედ შემოსაზღვრული აზიური განვითარების პერსპექტივით.

ერეკლე მეორეს სრულიად სხვა ჩანაფიქრი და სტრატეგია ჰქონდა შემავებელი. მისი წინაპარი მეფე-პოლიტიკოსები ევროპისა თუ რუსეთის სამხედრო დახმარებას მიეღობოდნენ. მეფე ერეკლე პირველი იყო, რომელმაც ქრისტიანი მოკავშირის სამხედრო დახმარების მიზანთან ერთად - ქვეყნის ევროპულად გარდაქმნის იდეა წამოაყენა. მის წინამორბედად, ამ მხრივ, მისივე პაპა ვახტანგ მეექვსე შეიძლება ჩაითვალოს. ვახტანგ მეექვსესთან განუყოფელი დახმარების სანაცვლოდ, სულხან-საბა ორბელიანი საფრანგეთს სთავაზობდა, შავი ზღვიდან სპარსეთამდე საქართველოზე გავლით სავაჭრო გზის გახსნას.

ერეკლე მეორესაც უპირველეს ყოვლისა, ევროპა აინტერესებდა, როგორც სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე, რომელიც მას მუსლიმური სახელმწიფოების აგრესიისაგან დაცავდა. მაგრამ, მას ჰქონდა მეორე მიზანიც. მას სურდა ქართლ-კახეთის სამხედრო ძალები ევროპულად გარდაექმნა. ეს იმას ნიშნავდა, ქართული ლაშქარი ევროპული ტიპის რეგულარულ ჯარად გარდაქმნილიყო; აღჭურვილიყო ცეცხლსასროლი იარაღით და არტილერიით; შემოღებულიყო ევროპული სამხედრო წოდებები, ჩინები, დისციპლინა და ა. შ.

ქართველ მეფეს, ვითარცა თავისი ეპოქის გამოჩენილ სამხედრო მოღვაწეს, შესანიშნავად ესმოდა ევროპული არმიისა და ტექნოლოგიის უპირატესობა აღმოსავლურ შეიარაღებულ ძალებთან შედარებით. თუნდაც მცირე რიცხოვანი ევროპული ტიპის ქართული ჯარით, ერეკლე მეფეს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბევრად მრავალრიცხოვან აზიურ სამხედრო ძალებს სძლევდა. ზუსტად ასეც სწერდა ქართველი მეფე ევროპულ ხელმწიფებს: "არა გვაქვს ძალი ასეთის რიგისა, რომ ერთ რომელიც ევროპის შინა, ჯარის განწესება არის ის განწესება ვიყურათ. ცოტანიცა რომ ვიყვნეთ იმ რიგით, რამდენიც უნდა ბევრნი იყვნენ ჩვენს წინააღმდეგეთ ღმერთით მაინც მოვერევით და არც ჩვენი წინააღმდეგობა იმათა შეძლება საბოლოოთ".

ორი წლით ადრე, ვიდრე ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდოდა, ერეკლე მეორემ დახმარების თხოვნით დასავ-



ლეთ ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს მიმართა. 1781 ზაფხულში მეფემ კათოლიკე მისიონერი დომინიკე ევროპისაკენ გაამგზავრა და წერილები გაატანა ავსტრიის იმპერატორთან, საფრანგეთის მეფესთან, სარდინიის მეფესთან, ნეაპოლის მეფესთან, ვენეციის რესპუბლიკის სენატთან და რომის პაპთან. მეფის ამ ნაბიჯიდან ნათლად ჩანს, რომ იგი ფეხს ითრევდა რუსეთთან მჭიდრო კავშირისაგან და არ ენდობოდა მას. საქართველოს ისტორიაში სრული გაუთვითცნობიერება იმის თქმა, თითქოს ერეკლე მეორეს წინასწარ აკვირებულ ჰქონდა რუსეთის მფარველობაში შესვლა და ეს მისი "რუსოფილიადი" გამომდინარეობდა. ჩვენს ცოდვილ პრესაში, სადაც ვისაც არ ეზარება ყველა წერს და ყველაფერს წერს, ამისთანა აბსურდული "მტკიცებებიც" გამოჩნდა, რასაც კიდევ უფრო ცოდვილმა ქართულმა ტელევიზიამაც დაუთმო ეთერი.

რუსეთთან მფარველობითი ტრატატის დადებამდე ქართლ-კახეთის მეფემ კიდევ ერთხელ სცადა ბედი. სამსუხაროდ, მეფის მიერ წარგზავნილი მისიონერი დომინიკე, კონსტანტინე პოლომ, იმავე წლის 3 ივლისს გარდაიცვალა. გერონტი ქიქოძე თავის ბრწყინვალე პოლიტიკურ ბიოგრაფიაში ერეკლე მეორის შესახებ, წერს, მისიონერმა დომინიკემ "დანიშნულების ადგილს ვერ მიაღწია, ის შავ ზღვაში დაიხრჩო". ამ ცნობას თითქოს ეწინააღმდეგება საქართველოში მოღვაწე უფროსი პატრის ანდრეასის ინფორმაცია, როცა ის ავსტრიის იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში, თავის მალაღარეხსატს ატყობინებს: პატრი დომინიკე "კონსტანტინეპოლში, პერაზე მოულოდნელად გარდაიცვალა და ამის გამო თავისი მისია მცირედაც კი ვერ შესრულდა".

ერეკლე ჯოუტად ცდილობდა ევროპისთვის ხმა მიეზენინა. ახლა მან სხვა წარმომადგენელი - პატრი მავრო ვერონელი, - სხვა გზით გაგზავნა ევროპისაკენ, - რუსეთზე გავლით. აღმოჩნდა, რომ რუსეთის გზა, არაფრით იყო ოსმალეთის ტერიტორიაზე უფრო უსაფრთხო ქართველების ელჩებისათვის. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მეფე ერეკლემ წინასწარ ჩააყენა საქმის კურსში რუსეთის ხელისუფლება, რომ ელჩს გააგზავნიდა ევროპაში. უსაბუთოდ რაიმეს მტკიცება ძელია, მაგრამ საეჭვო და დასაფიქრებელი კია, რომ ქართველი მეფის მიერ წარმომადგენელსაც პირველის ბედი ენია - პატრი მავრო ვე-

რონელი რუსეთის ტერიტორიას კი გასცდა, მაგრამ პოლონეთში, ქალაქ ბერდინეში გარდაიცვალა.

რატომ არ შეიძლება დაეუფვათ, რომ ქართლ-კახეთის მეფის წარგზავნილების სიკვდილი ბუნებრივი მიზეზებით სულაც არ იყო გამოწვეული? ჩვენ ხომ ვიცით, როგორ უშლიდნენ რუსეთი და ოსმალეთი ქართველებს ხელს, ევროპასთან დაკავშირებაში. ამის შესახებ ერეკლეც სწერდა ევროპულ ხელმწიფე-ადრესატებს, ადრეც ბევრჯერ გვინდოდა თქვენთან ურთიერთობის დამყარება, მეც და ჩემს წინაპრებსაც, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ამის შესახებ ხომ ვახტანგ მეექვსეც ატყობინებდა ევროპელებს.

ქართლ-კახეთის მეფის წერილებმა ბოლოს და ბოლოს მაინც ჩააღწია ევროპაში. ისინი ვენაში ჩაიტანეს და ავსტრიის ხელი-სუფლებს გადასცეს პოლონელმა კაპუცინებმა ვოლფგანგმა და ჰილარიუმმა. მისი წარმოსადგენად თუ რას სთხოვდა ქართლ-კახეთის მეფე ევროპულ ხელმწიფეებს, მოვიყვანთ მცირე ამონარიდებს, ერეკლეს წერილებიდან. ისინი კარგადაა ცნობილი ქართული ისტორიოგრაფიისათვის, ილია ტაბაღუას მშვენიერი გამოკვლევის წყალობით, მაგრამ მკითხველი საზოგადოებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება.

აი ამონარიდები ერეკლე მეორის წერილებიდან, ავსტრიის იმპერატორის იოსებ მეორის, საფრანგეთის მეფის ლუი მეექვსემეტის, სარდინიისა და ნეაპოლის მეფეებისა და ვენეციის რესპუბლიკის სენატისადმი:

"ჩვენი თხოვნა მოწყალე კეისრისა და ამასთან უქრისტიანესი მეფისა და სხვა მეფეებისადმი არის ორი პოლიტიკური და ეკონომიკური ბრწყინვალე თავმოყრა და შესაძლებლობა არჩევანისა."

"...მუდმივი ორი პოლიტიკის ქირა გვიწყალობეთ და გვიბოძეთ. ამ ნაბიჯებით თანხით ჩვენ ხალხსა და ჯარს ვიშოვით, თანხმობის შემთხვევაში ევროპული ნების მოთხოვნებისათვის. არარაობანი - მტრები ამ წესისა და ამის შესახებ, რომ გაიგებენ და მისი თვითმხილველი გახდებიან, ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებას ვერ შესძლებენ და ვერც გაბედავენ."

"უდიდებულესა და ყოვლად მოწყალე კეისარს! თუმიცა ამ თხოვნისა ჩვენ ძალიან გვერიდება და გვრცხვენია, მიუხედავად ამისა, რადგან ჩვენ ქვეყნებს მძიმე უბედურება ელის (როგორც სხვა მისხენებით ბარათში უკვე აღნიშნული იყო), ეს გვაგებდევინებს გთხოვით, ჩვენს განკარგულებაში მოგვცეთ ორი პოლიტიკური, რათა ჩვენ დავეუფლოთ წერეთის წესებს და ასეთი ცოდნით ევროპული სისტემის წესზე განვწყობოთ ჯარი. ამის შემდეგ, როცა მონიშნულმა შეიტყობს ჯარის დღეინადაც მზადყოფნას, ვეღარ გაბედავს ჩვენს ტანჯვა-წამებას."

"ჩვენ არა ვართ აღჭურვილი ძალით, რომ შევძენათ ისეთი რიგის ჯარი, როგორც ევროპას ჰყავს. ...ვიმყოფებით სპარსეთსა და აზიის სხვა სამეფოებს შორის. ამ სამეფოებს შორის მტრობა ჩამოყრდა, ყველა მფოთვამ მოიცვა და ახლა ისინი დასუსტებული არიან. ამჟამად მათ არაფერი შეუძლიათ, განსაკუთრებით, თუ ჩვენ გვეუწყობა დისციპლინიზებული ევროპული რიგის ჯარი. მაგრამ რაკი არ გვეყავს ასეთი ჯარი, ლეკები დაღესტინიდან და კავკასიიდან და სხვა მეზობელი მამამადიანები ერთიანდებიან და ჩვენ გვაპიოკებენ."

ვინც უნდა დაგვხმარებოდა, ისინიც ნაკლებად გვეშველებიან და ამიტომ ჩვენ დიდ განსაცდელში ვვარდებით უფულობის გამო.

ამრიგად, გთხოვთ თქვენს დიდებულებას და მოწყალე უდიდებულესობას, ერთი პოლიტიკური შესანახი თანხა მოგვცეს ჩვენ გასაძლიერებლად. შესაძლებელია, უზენაესის წყალობით, თავისი ძალების შესაბამისად, ეს ქვეყანაც ჩადგეს ევროპის მეფის სადიდებლად მის სამსახურში."

"რადგან ასეთსა შინა ადგილსა ვიმყოფებით თუ რამ უდიდესი წამალი კიდევ არ დაგვერთო, საბოლოოთ დიდის განსაცდელის შიში გვაქვს და არა გვაქვს ძალა ასეთის რიგისა, რომ ერთი რომელიც ევროპას შინა განწესება არის, ის განწესება ვიპყრათ. ცოტანიც რომ ვიყუენით, იმ რიგით რამდენიც უნდა ბევრი იყუნენ ჩვენს წინააღმდეგ, ღვთით მაინც მოვერევით და არც ჩვენი წინააღმდეგობა იმათა შეძლება საბოლოოთ."

ამ ამონარიდებიდან ცხადად ჩანს, რომ გეორგიევსკის ტრატატის დადებამდე, ერეკლე მეორემ კიდევ ერთხელ სცადა ევროპასთან დაკავშირება და მათთვის დახმარების თხოვნა. გერონტი ქიქოძე გაკვირვებასაც კი გამოთქვამს, მეფე ერეკლე რეალისტური ბუნების ადამიანი გახლდათ და ასეთი "პოლიტიკური რომანტიზმი" როგორ გამოიჩინა - ევროპას დასახმარებლად როგორ მიმართაო. მართალი იყო ჩვენი ბრწყინვალე პუბლიცისტი და ერეკლე: იმჟამინდელი ევროპისათვის ქართლ-კახეთში რამდენიმე ათასი ჯარისკაცის გაგზავნა ან შესაბამისი რაოდენობის ფინანსური შეწყვეტა და ოსმალეთთან დაპირისპირება საქართველოსათვის, რომანტიკულ ოცნებას უფრო წააგავდა.

მაგრამ მართალი გახლდათ მეფე ერეკლეც. შესაძლოა მას ყველაზე უკეთ ჰქონდა გააზრებული ევროპელებისაგან ოსმალთა წინააღმდეგ სახედრო-ფინანსური დახმარების ილუზორულობა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ - ქართლ-კახეთის მეფემ საბოლოოდ და უკანასკნელად სცადა ბედი. ამით მან ყველა თავის გვირგვინოსანი წინაპრის წინაშეც და შთამომავლობის გასაგონადაც - თავისი ისტორიული დასაწყისიდან დასაბუთო - მე ყველაფერი ვცადე, სანამ უკანასკნელ ნაბიჯს გადადგამდებოდა!

მართლაც, არც ერთ ევროპულ სახელმწიფოს, რომლებიც დიდად იყვნენ დაცლებული საქართველოს, არ შეეძლო ქართლ-კახეთისათვის რეალური დახმარება. ერეკლე მეორის თანამედროვე ავსტრიის იმპერატორიცამ მარია ტერეზამ (1740-1780), ძლიერ შეინარჩუნა საკუთარი ტახტი ე. წ. "ავსტრიის მეტროპოლიტისათვის" ბრძოლაში და რამდენიმე მნიშვნელოვანი ტერიტორიაც დაკარგა. მისი შემკვიდრე და ერეკლეს ადრესატი იოსებ მეორე უფრო სახელმწიფოს ეკონომიკური გაძლიერებისა და საკუთარი საზოგადოებრივების შენარჩუნებისათვის ზრუნავდა.

საფრანგეთი აქტიურად ეხმარებოდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ამერიკელებს, ინგლისელებთან ბრძოლაში. რაც შეეხება ვენეციის რესპუბლიკას, სარდინიისა და ნეაპოლის მეფეებს, მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ რაიმე დახმარების განევა საქართველოსათვის, თუ ამას ევროპის დიდი ქვეყნები მოინდომებდნენ.

ქართლ-კახეთის მეფის უკანასკნელი ცდა ევროპის სახელმწიფოები არ გამოხმობდნენ. დრო კი არ ითმინდა. ქართველობას ნებისმიერი სხვა მოკავშირე-მფარველი უნდა ეშოვა ოთხმხრივი მამამადიანურ-ბარბაროსული გარემოცვიდან თავდასახსნელად. 1783 წლის 6 სექტემბერს, პეტერბურგში, ავსტრიის ელჩი კონტინცი ვენას მოახსენებდა, რომ "საქართველოს პრინცი ერეკლემ თავისი სამფლობელოები აქაურ სკიპტრას (ე. ი. რუსეთის იმპერატორისა - დ. შ.) დაუმორჩილა." ელჩს რა თქმა უნდა გეორგიევსკის ტრატატი ჰქონდა მხედველობაში, რომლითაც, ასე გამოვიდა, მეფე ერეკლეს "გადაწყვიტა ბედი ქართლისა."

ქართლ-კახეთის მეფის ეს ნაბიჯი იძულებითი იყო.

ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

ბენედეტო კროჩე

უფოლოგიის საფუძვლები

ნოდარ ლაღარია
ლილია გიზარაშვილი

1600 წლის თებერვალში ქალაქ რომში, ყველაზე მთავარ მოედანზე ცოცხლად დანვეს ყველა საათის ცნობილი ჯორდანო ბრუნო. მართალია, სახალხო შეგნებაში ეს პიროვნება უცნაურად შეერია მეორე ცნობილ იტალიელს, გალილეო გალილეის, ეს შერევა კი იმაში გამოიხატა, რომ ადამიანების უმრავლესობა დარწმუნებულია, თითქოს ჯორდანო ბრუნომ განაცხადა, რომ დედამიწა ბრუნავს. სინამდვილეში გალილეიმ ბრუნოს სიკვდილის შემდეგ კიდევ ორმოცდაორი წელი იცოცხლა, ბრუნომ კი მრავალი ფორმალური მიზეზით დაასრულა სიცოცხლე. ერთ-ერთი ამ მიზეზთაგანი კი ის იყო, რომ მოაზროვნე აღიარებდა სხვა პლანეტებზე თუ ვარსკვლავებზე სიცოცხლის არსებობის შესაძლებლობას. საინტერესოა, რომ ამის დასამტკიცებლად სახარებას ეყრდნობოდა, კერძოდ იმ ადგილს, სადაც იესო ქრისტე ამბობს, რომ მამის სახლში მრავალი სამყოფელია...

რომში აგიზგივებული კოცონიდან 19 წლის თავზე საფრანგეთში, უფრო ზუსტად კი გასკონის ოლქში დაიბადა ერთი ნიჭიერი კაცი. გარდა პოეტური ნიჭისა იგი მშვენივრად ფლობდა დამსას, გარდა ამისა კაცობრიობის მეხსიერებას თავისი გრძელი ცხვირის წყალობით შემორჩა. მკითხველი უკვე მიხვდა, რომ ლაპარაკია სირანო დე ბერჟერაკ სავენიენზე. ეს ყმანვილი, როგორც პოეტსა და მოჩხუბარს შეჰფერის, საკმაოდ ადრე გარდაიცვალა — 1655 წელს. სიკვდილის შემდეგ კი მალე დაივიწყეს. უკვდავება

მას ედმონ როსტანის პიესამ მიანიჭა — კომედიას "სირანო დე ბერჟერაკი" არა მარტო დღემდე დგამენ მსოფლიოს დრამატულ სცენებზე, არამედ მის მიხედვით იღებენ მხატვრულ ფილმებს. ამ ფილმთაგან ერთ-ერთი, რა თქმა უნდა, პოლიფუნქციური გადაღებული, გრძელცხვირა პოეტს ამერიკელი მეხანძრის სახით წარმოგვიდგენს. მაგრამ ეს სცილდება დღევანდელი საუბრის თემას...

სირანო დე ბერჟერაკმა დაგვიტოვა ორი რომანი "მთვარის იმპერიის სახელმწიფოები" და "მზის იმპერიის სახელმწიფოები". სათაურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ და თან ეპოქასაც თუ გავითვალისწინებთ, ეს უტოპიები უნდა იყოს. პო და არა. საქმე უფრო სამეცნიერო ფანტასტიკის ადრეულ ნიმუშთან გვაქვს: პირველ რომანში ბევრი ლაპარაკია სამყაროს უსასრულობაზე, სხვადასხვა სასწაულის მეცნიერულ ახსნაზე, ფსიქოთერაპიაზე, სინათლის უწვრილეს ნაწილაკებზე, მთავარეზე ასაფრენ მრავალსაფეხურიან სარაკეტო ძრავაზე და ასე შემდეგ... რა ვუყოთ, მსგავს რაღაცებზე, როგორც ამბობენ, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში მსჯელობდა როჯერ ბეკონი. თუმცა სირანოსთან არის ერთი დეტალი, რომელიც მას ამორებს ბეკონს და ახლოებს ბრუნოსთან: პირველ რომანში მზის გონიერი მცხოვრები აღიარებს, რომ ის და მისი მეგობრები არაერთხელ ყოფილან დედამიწაზე. "თქვენ, უეჭველად გაგიგონიათ ჩვენს შესახებ, — ამბობს სი, — ჩვენ გვინდობდნენ ორაკულებს, ნიმფებს, სულებს, ფერიებს, ვამპირებს, გნომებს, ნაიადებს, ინკუბუსებს, მოჩვენებებსა და აჩრდილებს...". გარდა ამისა, რომანის გმირი აღიარებს, რომ



ერის ფონ დენიკენი

"მოგონება მოგაკვალა"

"მოგონება მოგაკვალა" მხოლოდ ერთი იმ ფილმთაგანია, რომელიც შეიცარეილია ერის ფონ დენიკენის ნიგნების მიხედვით იქნა გადაღებული. ის 1970-იან წლებში საბჭოთა ეკრანებზეც გამოჩნდა. 1973 წლის 14 სექტემბერს დენიკენმა დააარსა "ძველასტრონავტული საზოგადოება" და მასში მრავალი თანამოაზრე გააერთიანა.

ერის ფონ დენიკენს არავითარი მეცნიერული კვალიფიკაცია არ გააჩნია. მაგრამ ძალიან ნაკითხი და გამჭრიახი კაცია: ადვილად და მსუბუქად აერთიანებს ერთმანეთთან და უკავშირებელ ფაქტებს და, ამის გარდა, თავის ტექსტებში მეტად მოხერხებულად აპარებს თვითრეკლამას. დენიკენის აზრით, ისტორიული კვლევისათვის საჭირო არაა პროფესიული მომზადება: ეს ხელს უშლის კიდევ "ფანტაზიის თავისუფალ აღმავრენას". ამიტომ ფანტასტიკის მთელი დამაჯერებლობა ყოფით ცნობიერებასა და "საღ აზრზე" დაფუძნებული.

ტაქტიკა მარტივია. "ხომ ძალიან ჰგავს ასტრონავტს?" — კითხულობს დენიკენი და ნიგნში ნეოლითის ხანის რომელიღაც გამოსახულებას ათავსებს. "ჰმ, მართლაც ჰგავს," — გაოცებისაგან პირს ალებს მიამიტი მკითხველი, რომელსაც არაერთხელ უხილავს კოსმონავტები ტელევიზორში ან პრესაში. "შეეძლოთ კი სრულყოფილი ტექნიკის გარეშე მცხოვრებ ადამიანებს ასეთი კოლოსის აღმართვა?" — განაგრძობს დენიკენი. "არ შეეძლოთ", — დარწმუნებით პასუხობს მკითხველი, რადგან ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება ვინმეს შეეპაროს ეჭვი იმაში, რომ თვითონ ყველაზე სრულყოფილ და აყვავებულ ხანაში ცხოვრობს.

დენიკენმა ტექსტების ინტერპრეტაციის მარტივი და ყველა საათის მისანვდომი ხერხიც შეიმუშავა: ძველ მითებსა და ლეგენდებში, წმინდა ტექსტებსა და გადმოცემებში სიტყვა "ღმერთი" შეცვალეთ სიტყვა

ით "ასტრონავტი", "ანგელოზის" მაგიერ ნაიკითხეთ "რობოტი" და ყველაფერი ნათელი გახდება. მკითხველი ადვილად ერთვება ამ მეცნიერობანას თამაშში და ყოველი ამოხსნილი "ამოცანის" შემდეგ უმტკიცდება რწმენა, რომ ისტორიის წერილობითი ძეგლების ინტერპრეტირება ისევე ადვილია, როგორც კროსვორდების ამოხსნა.

საბოლოოდ, დენიკენის "თეორია" შემდეგია: "სტუმრები" პირველად მაშინ ჩამოვიდნენ, როცა დედამიწაზე ჰომინიდები სულ ახლახან გამოეყვნენ სხვა პრიმატებს; გენური მოდიფიკაციის შედეგად "სტუმრებმა" გამოიყვანეს პირველი მამრი ჰომო საპიენსი; მერე მისგან აღებული უჯრედოვანი სტრუქტურის მეშვეობით შექმნეს მდედრიც; ეს წყვილი ჯერ ერთგვარ რეზერვუარში არსებობდა. მაგრამ ამგვარად შექმნილი სახეობა მთლად ისეთი არ გამოვიდა, როგორსაც "სტუმრები" მოელოდნენ, ამიტომ ერთ-ერთი შემდგომი ვიზიტისას მათ ახალგაზრდა კაცობრიობის ნაწილი მოსპეს, დარჩენილებში კი კიდევ ერთი ხელოვნური მუტაცია გამოიწვიეს...

ვფიქრობ, დენიკენის ბრმა მიმდევარზე მეტი მიხვედრილობა არ უნდა დასჭირდეს მკითხველს, რომ ამ აბდაუბდაში ყველა საათის ცნობილი ისტორიული, ლიტერატურული და რელიგიური არქეტიპი გამოიწვოს.

არსებითად დენიკენმა "პალეოვიზიტის ჰიპოთეზა" აქცია მსოფლმხედველობად, რომელსაც შეუძლია მილიონობით ადამიანის შეგნებაში მეცნიერების ადგილი დაიკავოს. ეს მით უმეტეს ადვილია, რომ დიდი ენერჯის დაძაბვა და შრომა არ სჭირდება. ჭეშმარიტება მეცნიერებაშიც და რელიგიაშიც ძნელი მოსაპოვებელია, რაც შეეხება სიცრუესა და სიბრყველს, მის ტყვეობაში ადვილად გარდება მორწმუნეცა და ურწმუნოც, ხოლო გონებრივი ზარმაცებისთვის არც აკადემიურ სამყაროშია ხსნა და არც დედა ეკლესიის საფარქვეშ.



ბერნარ ფონტენელი.

ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

ბენედეტო კროჩე

იგი დემონის სახით უკარნახებდა სხვადასხვა იდეებს სოკრატეს, ტომაზო კამპანელასა და დოქტორ ფაუსტუსს.

თუ ფსიქიატრებს დავუჯერებთ, 1980-იან წლებში ბოღვის გმირები ხშირად იყვნენ უცხოპლანეტელები, 1990-იანი წლებიდან კი ბოღვებში სულ უფრო ხშირად ჩნდებიან ანგელოზები და წმინდანები. როგორც ეტყობა, ფსიქიკურად ავადმყოფი ადამიანები შეიძლება განვიხილოთ როგორც ტესტი იმაზე, თუ რამდენად ენდობა საზოგადოება მეცნიერებს. ასე იყო სირანოს შემთხვევაშიც: სწორედ XVII საუკუნიდან იწყება მეცნიერებისადმი ნდობის არნახული ამალღება ევროპაში. ამიტომ მხატვრულ გამოწვევაში ადგილს იკავებენ უცხოპლანეტელები... თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ სირანო დე ბერჟერაკის თანახმად მათ მიატოვეს დედამიწა, რადგან კაცთა მოდგმის უვიცობამ და სიბრძნევემ ნაყოფიერი ურთიერთობის ყოველგვარი იმედი გაუტყრა. თუმცა საკითხის ამგვარ გადაწყვეტაში უფრო მწერლის პირადი პრობლემები აისახა, ვიდრე ზოგადი მოსახრებებიდან ლოგიკურად მიღებული დასკვნა.

სირანოს სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ, 1657 წელს, დაიბადა ცნობილი ფრანგი მეცნიერი და მწერალი ბერნარ ლე ბოვიე ფონტენელი. გარდა იმისა, რომ იგი სახელგანთქმული დრამატურგის, კორნელის დისწული იყო, სახელი იმითაც გაითქვა, რომ ასი წელი იცოცხლა და 1757 წელს გარდაიცვალა. განუზომელია ფონტენელის წვლილი საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის განვითარებაში. ეპოქის სულისკვეთების კვალდაკვალ ფონტენელი მრავალი აფორიზმის ავტორია. მათ შორის ყველაზე ცნობილია შემდეგი: სიკეთეს დამტკიცება უნდა, სილამაზეს კი ეს არ სჭირდება. ვიკმართ ეს ფრაზა იმის საბუთად, რომ საქმე რაციონალურად მოაზროვნე ადამიანთან გვაქვს.

სწორედ მას ეკუთვნის საინტერესო წიგნი: "საუბრები სამყაროთა სიმრავლის შესახებ". გასაგებია, რომ აქ დასახლებული სამყაროები იგულისხმება. ასევე ეპოქის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად წიგნი დაწერილია ახალგაზრდა და ცნობისმოყვარე მარკიზასთან დიალოგის სახით. ავტორი არწმუნებს მშვენიერ თანამოსაუბრეს, რომ მთვარის მცხოვრებლები უსათუოდ ადამიანებზე ადრე დაეუფლებოდნენ საპლანეტაშორისო მოგზაურობის ხელოვნებას. "მაშინ ისინი უკვე უნდა მოფრენილიყვნენ ჩვენთან" — შინაშინავე მარკიზა. ავტორის პასუხიც არაა მოკლული ლოგიკას. იგი ახსენებს ქალბატონს, რომ ევროპელებმა ათასი წელი მოაწოდეს ნაოსნობის სრულყოფას, სანამ შეძლეს ამერიკაში ჩასვლა. განვითარების ასეთივე ნელი ტემპი უნდა ახასიათებდეს ციურ სივრცეებზე ნავიგაციას.

"მთვარის მცხოვრებლებმა, შესაძლოა, უკვე იციან ჰაერში ფრენის საიდუმლო... როცა ისინი მეტად გაინაფებიან და მეტ გამოცდილებას შეიძენენ, ჩვენც ვიხილავთ მათ..." — როგორც ვხედავთ, დედამიწის გარემოცვილი-ზაციებთან შეხვედრის პრობლემა XVII საუკუნეში დაიბადა. რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ გარემოებას მეცნიერებისათვის? — მაგალითად, ის, რომ ევროპაში ეკლესიის გავლენა საზოგადოებაზე იმ შორეულ დროში შორს იყო ტოტალიტარული კონტროლისაგან.

მართალია, სირანოს წიგნის წინათქმაში ეწერა, რომ მკითხველმა რომანი უნდა აღიქვას როგორც ფანტაზიის უბრალო თამაში, მაგრამ, ჯერ ერთი, ფანტაზია და წარმოსახვა სწორედ ის სამჭედლოა, სადაც ყოველგვარი იდეოლოგიის მძლეველი ხმალი იჭედება (ამიტომაც, რომ პოლიტიკა — "ოცნებათა ფარეკი" — ასეთი გააფთრებით სწორედ ფანტაზიას ებრძვის, მზა სანახაობებს სთავა-

პოლიტიკური ძვრების შედეგად ადამიანი ვერ იცლიდა "გონიერ მოძმეთა" საკითხზე ფიქრისთვის. მაგრამ პროგრესიც ყოველთვის თანაბარი არაა: XIX საუკუნის შუაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ, ასე ვთქვათ, გაივსო, ტემპი შეანელა, სული მოითქვა და უცხოპლანეტელების იდეაც კვლავ გამოჩნდა ყველასათვის ცნობილი ჟიულ ვერნის შემოქმედებაში.

იგულისხმება ფრანგი მწერლის რომანი "მთვარის გარემო" — მართალია, პოპულარობით ეს ნიგნი ჩამორჩება კაპიტან ნემოსა და კაპიტან გრანტის ეპოპეებს, მაგრამ არცთუ მთლად გადასაგდებაა. ის მაინც რად ღირს, რომ კინემატოგრაფის გარიჟრაჟზე სწორედ ამ წიგნის ეკრანიზაცია გადაიღო ცნობილმა კინომეზლაპრემ, ჟორჟ მელიესმა. რომანის პერსონაჟები, ბარბიკენი და ნიკოლი რეაქტიული ჭურვით მთვარისკენ მიფრინავენ და სხვადასხვა თემაზე მსჯელობენ. ერთ-ერთი კამათის საგანი შემდეგია: თუ მთვა-

ლი. აქედან, ექვსიდან ხუთი შანსია, რომ თუ მთვარიდან ასეთი ჭურვი გაუშვებს, ის ახლა წყნარი ან ატლანტის ოკეანის ფსკერზეა დამარხული; ან იქნებ რომელიმე უფსკრულში მოხვდა იმ დროს, როცა დედამიწის ქერქი ჯერ საბოლოოდ არ იყო გამაგრებული.

ჟიულ ვერნი თავის ფანტაზიას ყოველთვის ზღუდავდა მეცნიერულად შესაძლებლის ფარგლებში. ამიტომ სირანო დე ბერჟერაკით არ უძებნია უცხოპლანეტელთა ჩამოსვლის საბუთები კაცობრიობის ისტორიაში. პოზიტივისტურ ეპოქაში მცხოვრებ შემოქმედს მხოლოდ პალეოვიზიტის პირდაპირი საბუთი დაარწმუნებდა. იმ დროს ასეთი სიტყვაც კი არავინ იცოდა: პალეოვიზიტი. ასე აღნიშნავენ დედამიწაზე უცხოპლანეტელთა სავარაუდო ჩამოსვლას ისტორიულ ან წინარეისტორიულ წარსულში.

ახლა ძნელი იქნებოდა იმის განსაზღვრა, როდის წარმოიქმნა პირველად ეს ტერმინი. მაგრამ საინტერესოა, რომ თვით დისკუ-

იმ დროისათვის საკმაოდ მოულოდნელი ფრაზა წამოსცდა: "ჩვენ ვიცით, რომ დედამიწაზე უცხოპლანეტელები არ ჩამოსულან კაცობრიობის შეგნებული ცხოვრების რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში. მაგრამ არის უფრო შორეული წარსული და მომავალიც!.."

კაცმა რომ თქვას, ციოლოგისთვის სრულიად ბუნებრივი თვალსაზრისი იყო, რადგან პირველი და მეორე კოსმოსური სიჩქარის გამოთვლების სულიერი მემკვიდრეობა, მისი დიდი ნაწილი, წარმოუდგენლად შორს იდგა მეცნიერებისაგან. კალუგის გიმნაზიის მასწავლებელი, სიბერეში თითქმის სრულიად დაყრუებული ციოლოგის უფრო მისტიკოსი იყო, ვიდრე მეცნიერი. იგი ოცნებობდა გრავიტაციის ძალის დაძლევაზე, რაც სრულიად მეცნიერულად ადამიანის ფიზიოლოგიას და ახალ, პრინციპულად განსხვავებულ არსებად აქცევდა მას. მისი აზრით, ადამიანები დატოვებდნენ დედამიწას, სრულიად დაივიწყებდნენ მას და კაცობრიობის ახალი სამშობლო უკიდვანო გალაქტიკური სივრცეები იქნებოდა. ასეთ უცნაურობებზე ოცნებობდა თავის კალუგაში ვაჟიშვილის სიკვდილის, სმენის დაქვეითებისა და საბჭოთა რეჟიმთან ჩუმი კონფლიქტის შედეგად განმარტოებული ადამიანი, რომელსაც მატერიალური სახსრები მხოლოდ იმისთვის ჰყოფნიდა, რომ საკუთარ ბოსტანში მოყვანილი კომბოსტო ეჭამა. კომბოსტოს ფურცლები და მეტი არაფერი...

ეს ვითარება სასწაულებრივად ეთანხმებოდა იმას, რომ კონსტანტინე ციოლოგის ჯერ კიდევ სიცოცხლეში იქცა მითად.

მაგრამ ყველაზე საინტერესო და მოულოდნელი იყო დისკუსიის მესამე მონაწილის, პროფესორ ნიკოლოზ რინინის თვალსაზრისი: "თუ მივმართავთ ჭკადარ წარსულის თქმულებებსა და ლეგენდებს, შევამჩნევთ უცნაურ თანხვედრას იმ ქვეყნების ფოლკლორს შორის, რომელთაც ერთმანეთისაგან ოკეანეები და უდაბნოები ჰყოფენ. ეს თანხვედრა მდგომარეობს იმაში, რომ მრავალ ლეგენდაში ლაპარაკია დედამიწაზე სხვა სამყაროების მცხოვრებთა ჩამოსვლის შესახებ. რატომ არ უნდა დავუშვათ, რომ ამ ლეგენდებს საფუძვლად ქმმარტების რაღაც მარცვლი უდევს?"

ჰეგელის ფილოსოფიაში არსებული "რაციონალური მარცვლიდან" მარქსისტ-ლენინისტებმა ისეთი ფაფა მოხარშეს, რომ მის გემოს დღესაც გვრძნობთ სასაზე. გაცილებით უფრო მოულოდნელია, რომ XX საუკუნის ფსევდომეცნიერებმა, რომლებმაც მილიონები იმოვეს პალეოვიზიტის მითოლოგიის განვითარებაზე, თავიანთი ფაფის ხარშვა სწორედ საბჭოთა მეცნიერების ნიადაგზე აღმოცენებული მარცვლიდან დაიწყეს.



კონსტანტინე ციოლოგისკი.



კადრი ყორჟ მელიესის ფილმიდან "მოგზაურობა მთვარეზე"

ზობს და დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებას არ აძლევს, რათა ღმერთმა არ ქნას და არ დაინგრეს პოლიტკორექტულობის გაბატონებული იდეოლოგია; მეორეც, ფონტენელის დიალოგი უკვე აღარ იყო წმინდად მხატვრული ნაწარმოები — უცხოპლანეტელთა თემატიკამ ჯერ ფილოსოფიის მახლობელ სფეროებში შეაღწია, სულ მალე კი თვით ფილოსოფიაშიც გაკრთა.

ასე მაგალითად, ლაიბნიცის ცნობილ ტრაქტატში "ახალი ნარკვევი ადამიანის გონების შესახებ", რომელიც ჯონ ლოკის საწინააღმდეგოდაა დაწერილი, არის ერთი ეპიზოდი, სადაც განიხილება საკითხი: თუ ნაფანყდით მარნის ან სხვა პლანეტის გონიერ მცხოვრებებს, უნდა მოვნათლოთ თუ არა?

თუმცა არ უნდა ვიფიქროთ, რომ XVII საუკუნის შემდეგ უფოლოგია და გონიერ ცივილიზაციათა ძებნა ისევე განვითარდა, როგორც ინდუსტრია ან ტრანსპორტი. სულაც არა — იდეა დიდი ხნით მივიწყეს, რადგან კაცობრიობას საკვირველება დედამიწაზეც ბევრი აღმოაჩნდა. მეცნიერების განვითარების და მასთან დაკავშირებული სოციალური თუ

რეზე ვინმე ცხოვრობს, მათი ცივილიზაცია უეჭველად ტექნიკურად უფრო განვითარებულია. რატომაც ადამიანები უცხოპლანეტელებისაგან უფრო დიდ შესაძლებლობებს ითხოვენ ხოლმე, ვიდრე თვითონ აქვთ ხოლმე. ეს გასაგებია: განა უფრო სასიამოვნო არაა, თუ ახლად აღმოჩენილი ძმა შენზე მდიდარია და რაღაცას გინილადებს?

მაგრამ დაჯერუნდეთ ვერნის რომანს. კამათში მესამე პერსონაჟი ჩაერევა, მიშელ არდანი, და ამბობს: თუ ეს მართალია, რატომ არ გაუშვებს მთვარიდან დედამიწისაკენ ჭურვი? აქ თემა ახალ განვითარებას პოულობს, რომელიც ჩვენს დროში აიტაცეს. დიალოგი შემდეგია:

— ვინ გითხრა, რომ მათ ეს არ გაუკეთებიათ? — მშვიდად ჰკითხა ბარბიკენმა.

— მიშელს გაუკვირდა: — როდის?

— როდის და დედამიწაზე ჩვენს გაჩენამდე ათასობით წლით ადრე.

— ჭურვი? მათი ჭურვი სადღაა? მიჩვენე!

— ეჰ, ჩემო მეგობარო, — მიუგო ბარბიკენმა, — დედამიწის ხუთი მეექვსედი წყლითაა დაფარუ-

სია საბჭოთა კავშირში დაიბადა, თანაც ჟურნალში, რომელსაც პრეტენზიულად ეწოდებოდა "კოდნის მაცნე" ("ვესტნიკ ზნანია"). 1930 წელს ჟურნალმა მიიღო წერილი, რომლის გამოგზავნი იყო "ხელისმომწერი N 41912". ვინ იცის, ეს ტექსტი იქნებ თვით რედაქციაში შეიხზა. ასეა თუ ისე, წერილის ავტორი სვამდა შეკითხვას: "თუ სამყაროში არსებობს უფრო განვითარებული კულტურები, ვიდრე ჩვენი, რატომ ჯერაც არ ჩამოსულან დედამიწაზე სხვა დასახლებულ პლანეტათა მცხოვრებლები?". ამ კითხვაზე თვითონ ავტორი პასუხობს: "საპლანეტაშორისო მოგზაურობა შეუძლებელია".

რა თქმა უნდა, ეს ერთგვარი პროვოკაცია იყო. კოლექტივიზაციის მძიმე ხანაში, როცა სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა შიმშილით იხოცებოდა, ქალაქლები სამეცნიერო დისკუსიის მონაწილე გახდნენ. დისკუსიაში კი მონაწილეობდნენ კოსმონავტიკის თეორეტიკოსი, კონსტანტინე ციოლოგისკი და მეცნიერების ცნობილი პოპულარიზატორი, იაკობ პერელმანი, სხვადასხვა "სახალისო მათემატიკებისა" და "სახალისო ფიზიკების" ავტორი. ციოლოგისკის

ხარუკი მურაკამი

ირაკლი ბარიაშვილის
თარგმანი

ბარაკოლაბა,
დასახვისი იხილა Neil

მეორე ნაწილი

ივლისი, 1978 წ.

1
16 ნაბიჯი და მათი
გადაღების წესი

“ჩუმ...” - შიშინებს ზურგს უკან ლიფტის კომპრესორი და მეც ნელა ვხუჭავ თვალს. ფიქრის ნარჩენებს ვაგროვებ და: თექვსმეტ ნაბიჯს ვდგამ დერეფანში პირდაპირ ბინის კარამდე. თვალდახუჭული. ზუსტად თექვსმეტს, არც მეტს, არც ნაკლებს. ვისკისგან თავი ხმაურობს და ამოვარდნილი ხრახნივით მიფამვალვებს. ნიკოტინისგან მძაღვ გემო მაქვს პირში.

და მაინც, როგორი მთვრალიც არ უნდა ვიყო, ყოველთვის შემიძლია ამ თექვსმეტი ნაბიჯის გადადგმა.

თვალს ვხუჭავ და პირდაპირ მივდივარ, თითქოს დაჭიმულ მავთულს მივყვები. მექანიკური ჩვევაა, ძრავალი წლის ვარჯიშის შედეგი. რა დროსაც არ უნდა დავბრუნდებ გულში, ზურგის თითოეული კუნთი ფიგურის გამლამი მესმარება, თავს მალა ვწევ და ფილტვები თანაბრად შეისუნთქავენ ცემენტის დერეფნის სუნით შეზავებულ დილის ჰაერს. აი, სწორედ მაშინ ვხუჭავ თვალს და ვინც ამ ჩემი თექვსმეტი ნაბიჯის გადადგმას პირდაპირ ნამთვრალევი ნისლის ბოლქვებიდან.

მას შემდეგ, რაც ამ თექვსმეტი ნაბიჯის წესით შევიარადი, ტიტულითაც კი შემამკვს: “ჩვენი ყველაზე ზრდილი ლოთი”. ასეთად ყოფნა სულაც არ არის ძნელი. მთავარია, თავს გამოუტყდე: “მთვრალი ვარ და ეს ფაქტია!” და ეს ფაქტი რეალობად აღიქვა. არავითარი “მაგრამ”, არავითარი “თუმცა”, “ყოველ შემთხვევაში”, “მიუხედავად ამისა”. უბრალოდ, მთვრალი ვარ. სულ ეს არის.

და სანამ ეს წესი ჩემთან არის, ყოველთვის დავრჩები ყველაზე უწყინარ, უბრალოდემო ლოთად. თითქოს ბუდიდან ადრინადა აფროთიხიანული ტორილა ვიყო, ხალხით გაძევილი მატარებლის უკანასკნელი ვაგონით რომ გადავვლენი ხიდს, მერე კი ღამის გვირაბში გაუწინარდები.

ხუთი, ექვსი, შვიდი... მერვე ნაბიჯზე ვჩერდები, თვალს ვახელებ და ღრმად ჩასუნთქვას ვცდილობ. ოდნავ მიბჭუნის ყურები. ზუსტად ასე ზუზუნებს ქარში უანგიანი მავთულხლართები ზღვის ნაპირზე. რამდენი ხანია რაც იქ არ ვყოფილვარ... 22 ივლისი, 6.30. ზღვით ტკობის იდეალური დრო და იდეალური საათი. ქვიშის პლაჟის დაბინძურება ჯერ კიდევ არ მოუსწრაიათ. ტალღების სიახლოვეს ქვიშა ჩიტების ნაფხურებით არის დაფარული, თითქოს ქარმა ნაპირზე რომელიღაც უწინარი ფიჭვის წინები მიმოფანტა... ზღვა?! ისევ ვაგრძელებ. ზღვა უნდა დავივიწყო... კარგა ხანია ჩაბარდა წარსულს.

ხარუკი მურაკამი 1949 წელს დაიბადა კიოტოში, იაპონიის ძველ დედაქალაქში, კლასიკური ფილოლოგიის მასწავლებლის ოჯახში. სწავლობდა კლასიკური დრამის ფაკულტეტზე ვასედას უნივერსიტეტში. ტოკიოში ჯაზის ბარი ჰქონდა.

წერა 29 წლისამ დაიწყო და მას შემდეგ წელიწადში საშუალოდ ერთ რომანს წერს. იღვიძებს ექვს საათზე და წვება ათზე. 33 წლისამ სიგარეტს თავი დაანება, დაიწყო ვარჯიში.

დასავლეთში გაემგზავრა და იქიდან ევროპელის თვალთ დაუნყო ყურება თავის სამშობლოს. თავისი შემოქმედებით მურაკამი არღვევს ჩვეულ იაპონურ ფასეულობებს: “ეცადე იცხოვრო ჰარმონიულად გარე სამყაროსთან”, “არ გამოეყო გარემოს და ყველაფერი იღონე კარიერისთვის”. ის სიამოვნებით არღვევს ტრადიციებს, რის გამოც ბევრი იაპონელის სიძულვილიც დაიმსახურა. “მე მომწონს დროის ფლანგვა. ქვეყნად იმდენი რამ არის, რაც მიყვარს - ჯაზი, კატები, გოგონები, შეიძლება ნიგებიც. ყველაფერი ეს ცხოვრების გაგრძელებაში მესმარება”.



ნადირობა ცხოვრებზე

მეთექვსმეტე ნაბიჯს რომ ვდგამ, ვჩერდები, თვალს ვახელებ და პირდაპირ ჩემს წინ, როგორც ყოველთვის, კარის მრგვალ სახელურს ვხედავ. ყუთიდან ბოლო ორი დღის გახუთებას და წყვილ კონკრეტს ვიღებ, ფოსტას ილიაში ვიწრი. სადღაც ჯიბის სიღრმიდან გასაღებების ასხმულას ვიღებ და ერთხანს ასე ვდგავარ. შუბლით რკინის ცივ კარს მიყრდნობილი. ყურში უცებ სუსტი, მაგრამ საკმაოდ მკვეთრი ჩხაკუნის მესმის. მთელი ჩემი სხეული ბამბასავით ალკოჰოლით არის გაჟღენთილი. შედარებით წესრიგი მხოლოდ სადღაც თავს შიგნითაა.

ემშაკა ნამილოს... სულ რაღაც მესამედზე გავაღე კარი, ძლივს შევეციე ნაპრაღში და მივხურე. პოლში სიცოცხლის ნიშანწყალი არ იგრძნობა. იმაზე უფრო მკვდარია, ვიდრე ველოდი. სწორედ ამ დროს ვიგრძენი მათი იქ ყოფნა - ნითელი ბათიანებისა პირდაპირ ჩემს ფეხებთან. ტალახში ამოგანგულ ჩემს ჩოგბურთის ფეხსაცმელებსა და პლაჟის იაფფასიან სანდლებს შორის მოქცეული ჩემი ძველი ნაცნობები. სიჩუმეში მტვრის თხელი ფენის იქით გარინდებულან. ისე მიყურებენ, როგორც ციდან უდროოდ ჩამოვარდნილ სამშობლო საჩუქარს.

სამზარეულოს მაგიდასთან იჯდა. მკერდი მაგიდაზე, სახე კი გადაჯვარედინებულ მაჯებზე ედო. პროფილს ხშირი შავი თმა უფარავდა. თმში ყელიდან კისრამდე კანის ვიწრო თეთრი ზოლი გასდევდა. ილიის ქვეშ, ტილოს კაბის ფართო სახელოდან ლიფის კიდე მოუჩანდა. ეს კაბა არასოდეს მენახა მასზე. სანამ პიჯაკს ვიხიდი, შავ პალსტუხს ვიძრობდი, საათს ვისხნიდი მაჯიდან - ერთხელაც არ განძრეულა. შევცქეროდი მაგიდაზე გართმულ ზურგს და წარსულს ვიხსენებდი. საკუთარ წარსულს - მანამდელს, სანამ შევხვდებოდი.

- ჰეი, - დაძახება ვცადე. საკუთარი ხმა მეუცხოვა. თითქოს სადღაც შორიდან მოიტანეს შეკვეთით მაინცდამაინც ამ შემთხვევისთვის. როგორც მოსალოდნელი იყო, პასუხი არავის გაუცია.

მძინარეს ჰგავდა. ან მტირალს. ან მკვდარს.

მაგიდის მოპირდაპირე მხარეს ჩამოვჯექი. ქუთუთოები მოვისრისე. ცინცხალმა მზის სხივმა მაგიდის ზედაპირი შუაზე გაყო, მე სინათლეში დავრჩი, ის - ნახევრად ბნელში. ბინდს ფერი არ ჰქონდა. მაგიდაზე ქოთანის იდგა, ქოთანში - გამხმარი გერანი. ფანჯრის მიღმა ვილაცამ ქუჩაში წყალი გადაღვარა. წყალმა უშნოდ გაიტყლაშუნა გზაზე. ჰაერში სველი ასფალტის სუნი დადგა.

- ყავას დალევ?... ისევ სიჩუმე. როცა დავრწმუნდი, რომ ხმას არავინ გამცემდა, ავდექი, ყავის საფეხავში მარცვლები ჩავყარე და ტრანზისტორი ჩავრთე. ყავა უკვე დაფუჭული იყო, როცა გამახსენდა, რომ სინამდვილეში ყინულიანი ჩაის დალევა მინდოდა... ყველაფრის აი, ასე დავგვიანებით ვახსენებ ჩემი ხასიათის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ტრანზისტორი სიმღერას სიმღერაზე აფრქვევდა - დილის შესაფერ უკებილობა და არაფრისმთქმელ პოპს. ვუსმენდი სიმღერებს და მეჩვენებოდა, რომ ამ ათი წლის მანძილზე ქვეყანაზე არაფერი შეცვლილიყო. არაფერი, მომღერლების სახელებისა და სიმღერების სახელწოდებების გარდა. იმის გარდა, რომ კიდევ ათი წელი მომემატა. ჩადანი შევამოწმე. ადუღებულყოფი ქურა გამოვრთე, ოცდაათი წამი ვიცადე, რომ ბუშტები გამქრალიყო და მდულარე ყავის ფეხნილს დავასხი. დათუთქულმა შეინოვა რამდენიც შეძლო, ნელ-ნელა გაფუფუდა და ოთახი მყუდრო სურნელით გაავსო. ფანჯრიდან ჭრიჭინების გაბმული ჭრიჭინი შემოდიოდა.

- შენ რა, წუხანდელს აქეთ აქა ხარ?... - ჯერ კიდევ ხელში მეჭირა ჩაიდან და ისე ვკითხე. მაგიდაზე გაშლილი, თითქოს სამუდამოდ გაქვავებული თმა უცებ ოდნავ შეირხა პასუხად. - მელოდებოდი? ისევ სიჩუმე. მცხუნვარე სხივებისა და ორთქლის ბოლქვებისგან სამზრეულოში ჰაერი დაიხუთა. ნიჟარის თავზე სარკმელი გამოვადე, კონდიციონ-

ერის ლილაკს თითი მივაჭირე, ყავის ფინჯნები მაგიდაზე დავაწყვე. - მიდი, დალიე, - ვთქვი. ხმა თანდათან ჩემსას ემსგავსებოდა.

- ... - დალიე, დალიე. ნახევარი წუთი მაინც გავიდა, სანამ წელა, როგორღაც მექანიკურად არ ასწია მაგიდიდან თავი. ისევ გაირინდა. უაზრო თვალეები გამხმარი გერანის ქოთანს მიაპყრო. ცრემლით დასველებული თმის რამდენიმე ღერი უსწორმასწოროდ მიწებებული დარჩა ლოყაზე. სისველის ანაორთქლი ნესტიან ტალღებად გაიშალა მთელ ოთახში.

- ნუ ნერვიულობ, - თქვა, - ცრემლის ღერას არავინ აპირებს. ქალაღის ხელსახოცი მივანოდე. უხმოდ მოინმინდა ცხვირი და ნერვული მოძრაობით მოიცილა სახეზე მინებებული თმა.

- შენს დაბრუნებამდე ვაპირებდი წასვლას... არ მინდოდა შეგხედროდი.

- მაგრამ მერე, როგორც ვხედავ, გადაიფიქრე.

- სულაც არა. უბრალოდ... დამეზარა სხვაგან წასვლა. მაგრამ არ ინერვიულო, უკვე მივდივარ.

- კარგი, პო... ყავა მაინც დალიე.

რადიოთი გადმოცემული ავტოსაგზაო შემთხვევების ცნობების თანხლებით დავლიე ყავა, მერე მაკრატელი ავიღე და დილით მოსული ორი კონკრეტი გავხსენი. ერთში ავეჯის მალაზიიდან შეტყობინება იყო: ოცპროცენტიანი ფასდაკლება ამა და ამ ვადაში ყიდვისთვის. მეორეში აღმოჩნდა ნერილი, რომლის ნაკითხვა არ მინდოდა. ნაცნობისგან იყო და არც იმისი გახსენების სურვილი მქონდა. კონკრეტები დავჭმუჭენე, ნაგვის კალათში ჩავყარე და გალეთის ნარჩენების ჭამა დავინწყე. ის იჯდა, ფინჯანი პირიდან მოუშორებლად, ორივე ხელით ეჭირა, თითქოს გათბობას ცდილობსო და მაკვირდებოდა.

- მაცივარში სალათაა... - სალათა? - თავი ავნიე და შევხედე. - პომიდორი ლობიოთი. სხვა არ იყო. კიტრი გაფუჭებულიყო, გადაყვარე. - მ-მ-...



მაცივრიდან მოზრდილი, ოკინავას მინის ღრმა სასალათე გამოვიღე და ბოთლიდან სულ რაღაც ხუთ მილიმეტრზე დარჩენილი საწებელა გადმოვასხი. პომიდორისა და ლობიოსგან გაფშეკილი აჩრდილიად დარჩენილიყო. გემო საერთოდ არ ჰქონდა, გემო არც გალეთებს ჰქონდა, არც ყავას. ეტყობა, თვალისმომჭრელი დილის სინათლის გამო. დღის სინათლე ყოველთვის ყველაფერს შემადგენელ ნაწილებად შლის. ჯიბიდან დაჭყლებული სიგარეტი ამოვიღე. ასანთს გავკარი, რომელიც წარმოდგენა არ მქონდა, საიდან გაჩნდა ჯიბეში. სიგარეტი პირველივე ნაფაზზე გამშრალი საპნის ბუშტივით გატკაცუნდა. იასამინისფერი ბოლი დილის სხივებში აბსტრაქტულ ორნამენტებად გაიშალა.

- დაკრძალვაზე ვიყავი. მერე ყველაფერი მორჩა. მერე სინძიუკუზე წავიდი, დილაზე მარტო ვსვამდი.

ოთახში საიდანღაც კატა შემოიპარა, გაიზმორა და ალერსს მოწყურებული მუხლებზე შეასკუპდა. ხელი ბენგელ შეუყო და რამდენჯერმე მოფხანა ყურის ძირი.

- შეგიძლია არაფერი არ ამიხსნა, - თქვა მან, - ეს მე აღარ მეხება. - არც არაფერს არ გიხსნი. ისე... ჩემთვის ვაქცელებ.

ოდნავ აიჩჩა მხრები და ლიფის ვინრო ზოლი გაქრა, სახელოში დამალა. სახეზე ისეთი არაფერი ენერა, რასაც გამოიმეტყველებას დავარქმევდი. რატომღაც დიდი ხნის წინათ ნანახი სურათი გამახსენდა - ზღვის ფსკერზე ჩადირული ქალაქის ფოტო.

- ჩვენ ერთმანეთს ადრე ვიცნობდით. თუმცა, არც ისე ახლოს... თქვენ ერთმანეთი არ გინახავთ... - მართლა?

მუხლებზე დასკუბებული კატა გაიზმორა, თათები გაჭიმა და ჩუმად, ძალიან ჩუმად ამოისუნთქა.

უხმოდ შევეყურებდი ანთებულ სიგარეტს.

- რა დავმართა? - მანქანამ გაიტანა. ცამეტ ადგილას ჰქონდა ძელები გადამტვრეული. - ქალი? - აჰა.

დასრულდა ავტოსაგზაო შემთხვევების ცნობები. რადიოში ისევ აჟღერებდა როკ-ენ-როლი. ფინჯანი ლამაზაქზე დადო და თვალეში შემომხედა.

- საინტერესოა... მე რომ მოვევდები, მაშინაც ასე დათვრები? - იმ დაკრძალვის გამო არ დავმთვრალვარ. თუ პირველ ერთ-ორ ჭიქას არ ჩავთვლი...

ფანჯრის იქით დღე იკრებდა ძალას. ახალი და ცხელი. ნიჟარის ზევით, სარკმელში, შორეული პეიზაჟი აბრწყვილდა - ერთად შეყრილი ცათამბჯენები. დღეს ჩვეულებრივზე მეტად ბრწყვილებდნენ.

- დაღევ რამე გამაგრებულს?

თავი გააქნია. მაცივრიდან კოკა-კოლას ქილა გამოვიღე და ერთი ამოსუნთქვით გამოვცალე.

- გოგო, რომელიც ნებისმიერს აძლევდა... - ვთქვი მე. თითქოს სამომხარო გამოვთქვი: "მიცვალე ბული სიცოცხლეში პირველივე შემხვედრთან წვებოდა..."

- რისთვის გჭირდება ამის მოყოლა? - შემეკითხა.

- რისთვის? თვითონაც არ ვიცი.

- რა გინდა, რომ თქვა?... მართლა მიყვარებით? ყველას?

- ჰო.

- მაგრამ შენ არაფერ შუაში ხარ. ასეა, არა?

ხმა უცებ უცნაურად ცივი ნოტებით აზრილდა. თავი ავნიე და გამხმარი გერანის ლეროებს შორის გახვდი.

- ეგრე რატომ გგონია?

- რა ვიცი, - ძალიან ჩუმად თქვა, - შენ სხვანაირი ხარ.

- სხვანაირი?

- რაღაც განსაკუთრებული თვისება გაქვს... როგორც ქვიშის საათს. ქვიშა სულ რომ ჩამოიცილება, ვიღაც აუცილებლად გადააბრუნებს და ყველაფერი თავიდან იწყება...

- მართლა?

ტუჩები ძლივს შესამჩნევმა ლიმონმა შეუტოკა, მერე ისევ ისეთივე გულგრილი გახდა.

- ჩემი ნივთებისთვის მოვედი, ზამთრის პალტო, ქუდი და კიდეც რაღაც-რაღაცები. ყველაფერი ყუთში ჩავაწყვე. როცა მოიცლი, ფოსტით გამოგიგზავნე. კარგი?

- პირდაპირ სახლში მოგიტან.

ნელა გადააქნია თავი.

- არ ღირს. არ მინდა, რომ მოხვიდე. გასაგებია?

თავგზა სულ ამებნა და უკვე ისეთებს ვყებდობდი, რასაც სულ არ ვგულისხმობდი.

- მისამართი ხომ იცი?

- ჰო, ვიცი...

- მაშინ მეტი არაფერი მაქვს სათქმელი. ბოდიშს გიხდის, რომ ამდენ ხანს აქ ვიჯექი...

- ქალაქების საქმე როგორ არის, მეტი არაფერი გჭირდება?

- არა. ყველაფერი უკვე დამთავრდა.

- სასაცილოც კია, რა უბრალოდ მოხდა, არა? მეგონა ისე გაჯანჯლდებოდა...

- ყველას ასე ჰგონია, ვისაც არ გამოუცდია. სინამდვილეში ძალიან უბრალოდ ხდება... როცა უკვე ყველაფერი დასრულებულია, - კიდევე ერთხელ მოფხანა ყურის ძირი კატას, - მეორედაც განქორწინდები და უკვე ვეჭვრანი ხარ...

კატამ თვალები მოჭუტა, გაიზმორა და გაყურდა, უფრო მოხერხებულად მოკალათდა. ფინჯნები და სასალათე ნიჟარაში ჩავაწყვე, მერე მალაზიის ქვითრით, როგორც ცოცხით, ისე მოვხვეტე მაგიდიდან გაღების ნამცეცები. კაშკაშა მზე მტკიცეულად იჩხვლიტებოდა.

- სია დაგიტოვე იქ, შენს მაგიდაზე... სად რა ქალაქები დევს. დღეები, როცა გააქვთ ნაგავი, ჰოდა, ეგეთი რაღაცები. თუ რამეს ვერ გაიგებ, დამირეკე... ბავშვი გინდოდა?

- არა, - ვუთხარი, - არ მინდოდა.

- მე კი ყოველთვის ვყოყმანობდი. მაგრამ რადგან ყველაფერი ასე

დამთავრდა, მაღლობა ღმერთს. ასე არ არის? თუმცა, როგორ ფიქრობ, ბავშვები რომ გვეყოლოდა, იქნებ ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო?

- კარგი ერთი, უამრავი ბავშვინი ცოლ-ქმარი შორდება ერთმანეთს.

- ჰო, ალბათ... - თქვა, თან ხელში ჩემს სანთებელს ათამაშებდა, - მე კი ახლაც მიყვარხარ. მაგრამ ამაში არ არის საქმე... თვითონაც მშვენივრად ვხედავ ყველაფერს.

2
გაუჩინარება
(თვითონ მისი. მისი
ფოტოების და
ღამის პერანგის)

მისი წასვლის შემდეგ კიდევე ერთი ქილა კოკა-კოლა დავლიე, ცხელი მზაპი მივიღე და გავიპარსე.



იაპონელი "ზარბი" კომონომი.

რაც არ უნდა მომხვედროდა ხელში - საბონი, ასაქაფებელი კრემი - ყველაფერი თავდებოდა, ხელში მადნებოდა, შამპუნი ფსკერზე რჩებოდა.

შხაპის მერე დავივარცხნე, ლოსონით გავივარდი კანი და ყურები გამოვიწმინდე. მერე სამზარეულოში წავლასლასდი და დარჩენილი ყავა გავიცხელე. მაგიდასთან ჩემს პირდაპირ აღარავინ იყო. თვალი სკამს შეეჩხა, რომელზეც უკვე აღარავინ იჯდა და უცებ ბავშვად ვიგრძენი თავი, რომელიც უცნაური ფანტასტიკური ქალაქის ქუჩაში მარტო დარჩა. ეს ქალაქი რომელიღაც სურათზე მქონდა ნა-

ნახი. თუმცა, რა სალაპარაკოა, კარგა ხანია, ბავშვი აღარ ვარ. თავში აზრის ნასახიც არ მქონდა. დიდხანს, მძიმედ, პატარა ყლუპებით ვსვამდი ყავას. სანამ სულ არ გამოვცალე. მერე ერთხანს უმოძრაოდ ვიჯექი. ბოლოს სიგარეტს მოვუკიდე. საოცარია, ოცდაოთხი საათი სრულდებოდა, რაც თვალი არ მომეხუჭა, მაგრამ სულ არ მეძინებოდა. სხეული დაღლილობისგან გათანჯულიყო და მხოლოდ თავი, როგორც განვრთნილი ზღვის ცხოველი, ჯერ კიდევ ტივტივებდა ზედაპირზე და უშედეგოდ ცდილობდა ჩასაძირად განწირული უბადრუკი გონების გადაარჩენას.

ცარიელ სკამს რომ ვუყურებდი, ვიღაც ამერიკელთან ამოკითხული ამბავი გამახსენდა. კაცი, რომელიც ცოლმა მიატოვა, ზედიზედ რამდენიმე თვის განმავლობაში არ ეკარებოდა სასადილო ოთახში დატოვებულ, სკამზე გადაკიდებულ ღამის პერანგს... ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე: არც

რო ტუალეტის მაგიდაზე უნესრიგოდ გაშლილი პარფიუმერის ყველანაირი ფლაკონები, პუდრი, პომადა, ჩრდილები, კბილის ჯაგრისები, ფენი, ყველა ის გაურკვეველი დანიშნულების ნამლები, ტამპონ-ხელსახოციები და სხვა ჰიგიენური ხარახურა, ფეხსაცმელები - ზამთრის მძიმე ბათინკებით დაწყებული და სანდლებითა და ჩუსტებით დამთავრებული, შლაპის ყუთები, ჩანთები და რედიკულები, პორტფელები და საფულეები, საგულდაგულოდ დახარისხებული ქვედა საცვლები და ჩულქები, ნერილები; ყველაფერი, რასაც მისი სულ ოდნავ შესამჩნევად სურნელიც კი ასდიოდა, უკვალოდ გაქრა. მომეჩვენა, რომ საკუთარი თითის ანაბეჭდებიც კი თან წაეღო. წიგნების უჯრა და ფირფიტების თარო ღამის სანახევროდ დაცლილიყო. რაღაც-რაღაცებს თვითონ ყიდულობდა, რაღაც-რაღაცებს მე ვჩუქნიდი. ალბომებიდან ყველა საკუთარი ფოტო ამოვგლიჯა. ყველაგან, სადაც ორნი ვიყავით გადაღებული, სურათის მისი ნაწილი ფაქიზად ჩამოვჭრა. "ჩემი" ნახევარი კი იმავე ადგილას იდო. ხელუხლებელი მხოლოდ ის სურათები იყო, სადაც ან მარტო ვიყავი, ან პეიზაჟები და ცხოველები იყო გადაღებული. სამი ალბომი ადამიანის წარსულით რედაქტირებული: ამ ფოტოებზე მარტო ვიყავი დატოვებული, მარტოდმარტო - მთების, მდინარეების, ირმებისა და კატების ფონზე. თითქოს დაბადებიდანვე მარტო ვიყავი, მარტომ ვიცხოვრე დღემდე, ახლა კი სამუდამო მარტობა მაქვს მისჯილი... ალბომი დავხურე და ზედიზედ ორი სიგარეტი მოვნიე.

თუ ამ პრობლემას ერთი მხრიდან შევხედავდი, რა თქმა უნდა, შეეძლო თუნდაც ღამის პერანგის დატოვება. მეორე მხრიდან კი - ეს ყველაფერი, ცხადია, მისი პირადი საქმეა, საპრეტენზიო რა უნდა მქონდეს. გადაწყვეტილება, რომ არაფერი დაეტოვებინა, თვითონ მიიღო. მე მხოლოდ ცნობად უნდა მიმეღო ეს ფაქტი. სხვაგვარად თუ ვიტყვი, ჩანაფიქრი გამოუვიდა - ისლა დამჩნეოდა, თავი დამერწმუნებინა, რომ საერთოდ არ არსებობდა.

და თუ საერთოდ არ არსებობდა, საიდან უნდა გაჩენილიყო პერანგი?... საფერფლებს წყალი დავასხი, ტრანზისტორი და კონდიციონერი გამოვრთე, თავიდან მოვიცილე გონებაში კიდევ ერთხელ შემოპარული ფიქრი ღამის პერანგზე და დასაძინებლად წავლასლასდი. უკვე თვე იყო გასული, რაც განქორწინება გავაფორმეთ და ის სხვა ბინაში გადავიდა საცხოვრებლად. სრულიად უაზრო თვე. გამდნარ ფელესავით უგემური თვე. ვერავითარი ცვლილება ვერ ვგრძენი ამ დროის მანძილზე, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც არაფერი შეცვლილა.

შეიძლე ვიდვიძებდი, ყავას ვიდულებდი, ტოსტერში პურს ვხუხავდი, სამსახურში მივდიოდი, ქალაქში ვსაუზმობდი, ორ-სამ ბოთლსაკეს ჩავისხამდი, შინ ვბრუნდებოდი, დაახლოებით საათის განმავლობაში რამეს ვკითხულობდი ლოგინში, მერე სინათლეს ვაქრობდი და დილაზე ვიძინებდი. შაბათობით და კვირაობით სამსახურის ნაცვლად დილიდან გავდიოდი და ახლომხალხი კინოთეატრებში სულამოდგუნე უაზროდ, როგორც შემეძლო, ისე ვკლავდი დროს. საღამოობით კი, როგორც ყოველთვის, მარტოხელა ვახშამი, საკე, საათი წიგნთან ერთად და ძილი. მონოტონურად და უსახურად გავატარე ეს თვე - ზოგიერთი ადამიანი ასე მონიშნავს ხოლმე შავი პასტით მაგიდის კალენდარს.

ის გაქრა ჩემი ცხოვრებიდან. და ვგრძობოდა, რომ ამას აღარაფერი ეშველებოდა. რაც მოხდა, მოხდა. ავად ვიცხოვრეთ თუ კარგად ეს ოთხი წელი, ახლა უკვე სულ ერთი იყო. ყველაფერი გამოიმიგნა, ფოტოალბომივით. არც იმას ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა, რომ ის უკვე კარგა ხანია რეგულარულად იწვა ჩემს მეგობართან. ერთ მშვენიერ დღეს ვნახე ერთად, როცა შემთხვევით შევიარე მასთან. მსგავსი რამეებისგან არავინ არ არის დაზღვეული, ხშირად ხდება ცხოვრებაში, და თუ მინც გაიხლართა ამ ამბავში, მე მინც არავითარ შემთხვევაში არ ვთვლიდი ამას რაღაც განსაკუთრებულ რამედ. ბოლოს და ბოლოს, ეს მხოლოდ მისი პრობლემა იყო...

- ბოლოს და ბოლოს, ეს მხოლოდ შენი პრობლემაა, - ვუთხარი.

იენისის იმ კვირადღეს, როცა გამომიცხადა, რომ განქორწინება უნდოდა, მის წინ ვიდექი და თითხე ლუდის ქილის თუნუქის რგოლს ვატრიალებდი.

- ესე იგი, შენთვის სულ ერთია? - როგორღაც ხახვასმულად მკითხა.

- არა. ჩემთვის სულ ერთი არ არის, - ვუპასუხე, - მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ ეს შენი პრობლემაა.

- თუ გულახდილად ვიტყვი, არ მინდა შენთან გაყრა, - თქვა პაუზის შემდეგ.

- მაშინ ნურც გამეყრები.

- მაგრამ თუ შენთან დავრჩი... ხომ ხედავ, არაფერი გამოგვდის!

ნათქვამისთვის სიტყვაც არ დაუმატებია, მაგრამ მგონია, რომ მივხვდი, რასაც გულსხმობდა. რამდენიმე თვის შემდეგ ოცდაათის გავხდები. იმასაც სულ მალე ოცდაექვსი შეუსრულდება. წინ უამრავი პრობლემა გველოდა, არადა, აქამდე სულ რაღაც გროშები თუ შევგაროვეთ. ფაქტიურად არაფერი. იმასაც, რაც მანამდე გვექონდა, ამ ოთხი წლის განმავლობაში მოვუღეთ თითქმის მთლიანად მე ვიყავი დამნაშავე. ალბათ არც უნდა დავქორწინებულიყავი. ყოველ შემთხვევაში, ის მინც არ უნდა გამოემყოფა. ჯერ კიდევ დასაწყისში რატომღაც მოუვიდა თავში, რომ გულღია ადამიანი იყო, მე კი საკუთარ თავში ჩაკეტილ უკარგებად მივლიდა. აი, ასე საკმაოდ წარმატებითაც შევუდექით ამ ჩვენი როლების თამაშს. მაგრამ იმ დროის განმავლობაში, სანამ მართლა გვეკროდა, რომ დიდხანს გასტანდა ასე, უცებ რაღაც გაიზარა. მართლა მოუხეტებელი, მაგრამ რასაც გამთელბედა აღარ ენერა. ჩვენ ერთობ მყუდრო, მშვიდ ჩიხში შევედით და უბრალოდ დროსდა ვწვლავდით. ეს დასასრული იყო. მე მისთვის უკვე მოთავებული, ბოლომოდებული ადამიანი ვიყავი. რაღაც სიყვარულის მაგვარიც რომ დარჩენოდა ჩემს მიმართ, ეს აღარაფერს შეცვლიდა. მეტისმეტად შევეჩვიეთ ჩვენი როლების თამაშს. მე არაფრის გაცემა აღარ შემეძლო. ის ამას ინსტინქტურად გრძნობდა, მე - ჩემი გამოცდილებით, მაგრამ არც ერთი და არც მეორე გადარჩენის შანსს არ იძლეოდა.

და აი, ახლა მთელ თავის პერანგებთან ერთად სამუდამოდ წავიდა ჩემი ცხოვრებიდან. რაღაცას ტვინი დაივიწყებს, რაღაცა თვალს მიეფარება, რაღაცა მოკვდება. ამაში მინცდამაინც დიდი ტრაგედია არ უნდა იყოს.

24 ივლისი, დილის 8:25...

ელექტრონული საათის ციფრებს შევხედე და ძილში ჩავიძირე.

გაბრიელა
პაპაძე ნოზიძე

ბაუჩინარაბული საცოლე



აგატა კრისტი

გორა ჩინაპის თარგმანი

თუპენსმა "საერთაშორისო სამედიცინო სააგენტოს" კარი შეაღო და... ადგილზევე გახედა: მისი უფროსი (ამასთან მუშაზე) იქვე, იატაკზე დახორავებული ნიგნების გროვებზე გაშლარაბული და უმწიფო ფართობებდა.

- ტომი, მან რას აკეთებ?

- ზედა თაროს ვანერებებდი და ეს წყელი სკამი კი გატყდა... - რა ნიგნია? - თუპენსმა ქმარს ხელიდან ნიგნი გამოართვა. - "ო-ო, კონან დოილის "ბასკერვილების ძალი"! რა სიამოვნებით გადავიკითხავდი ერთხელ კიდევ!

- გამოცანა გეკუთვნის. - უთხრა ტომი, ნამოდგა და მტვერი ჩამოიბერტყა. - მეც მომენატრა დეტექტივის ჯადოქრის საზოგადოებაში მცირე ხნით გარევა... რაღაცის სწავლა... სულ მგონია: ჩვენ ვერ კიდევ მხოლოდ მოყვარულები ვართ...

- ხშირად მიფიქრია: როგორ მოიქცეოდნენ სახელმწიფოებრივი მაძებრები, რომანში აღწერილი შემთხვევები ცხოვრებაში მართლაც რომ ხდებოდა...

ანაზად, ზარის მჭახე ხმა შემოესმა. ეს კი იმის მუხრებელი იყო, რომ მათ ახალგაზნადულსავე ნინკარში კლიენტი გამოცხადდა და მას ჯერჯერობით ალბერტი, მათი მსახური გამოჰკითხავდა. - ჩემი! ნუ აჩქარებდები, - ნაიურჩულა ტომი. - ცოტა დაგახანოთ: ალბერტსაც მეტი დრო ექნება, კლიენტი დააჯეროს, თითქოს ძალიან დაკავებული ვართ და ამჟამად ტელეფონით სკოტლანდ იარდთან ვსაუბრობთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე! შენც აქ დარჩი, - ვითომ სტენოგრაფიულად იწერ ჩემს დასკვნებს... და სანამ ალბერტს ვანიშნებდე, კლიენტი შემოუშვას, დაზვერე, რა ჩიტი ბრძანდება.

ცოლ-ქმარი კედელზე საგულდაგულად დაგმანულ ჭუჭყრუტანას მიეხალა.

- რა გაეწყობა, მოვიცდი, - მოესმათ მოსულის ხმა. - თქვენ შეფს გადაეცით, პოლარული ექსპედიციიდან ახლახან დაბრუნებული გაბრიელ სტივენსონი გეახლათო თქო...

დიდი ხნის ნანატრი კლიენტი ადამიანთა მოდგმის მამაკაცთა ნახევრის ჩინებული ნიშუმი გახლდა-

ათ: ახალგაზრდა, მალალი, ტანადი, მზით გარუჯული პირისახით და უჩვეულოდ მზინავი ცისფერი თვალებით.

ტომიმ სასწრაფოდ ახალი გადწყვეტილება მიიღო: ქუდი დაიხურა, ხელთათმანებს ნაუპოტინა და მკვირცხლად, ვითომდა საღვთადაც მიეჩქარებოდა, კარი გამოუღო.

- ამ ბატონს თქვენთან სწადია საუბარი.

ტომიმ შუბლი შეიჭმუნა და საათს დახედა.

- ოჰ! თერთმეტს რომ თხუთმეტი დააკლდება, ჰერცოგთან უნდა ვიყო. - უცნობისკენ არც კი გაუხედავს, ისე წარმოთქვა.

- სერ, მხოლოდ რამდენიმე წუთი შემოძლია დაგთმობთ. - შემობრძანდით.

კაბინეტისაკენ წარუძღვა და კლიენტის მორჩილად მიჰყვა.

- ჩემი პირადი მდივანი მისის რობინსონი, - წარუდგინა ტომიმ ცოლი. - აბა, გისმენთ... ტაქსით რომ მობრძანდით და სულ ახლახან არქტიკაში ან ანტარქტიკაში რომ იყავით, სხვა არაფერი ვიცი თქვენს შესახებ.

- ფანტასტიკურია! - წამოიყვირა სტუმარმა. - როგორ გამოიცანით? არქტიკიდან მართლაც ეს-ეს არის ჩამოვები! აქამდე, მაძებრების ამგვარ გამჭრიახობაზე ნიგნებში თუ ნამეკითხა!..

- სალაპარაკოდ არ ღირს! - თქვა ტომიმ, - პოლარული მზის სხივი განსაკუთრებულად მოქმედებს კანზე. ამჟამად დისერტაციას სწორედ ამ თემაზე ვწერ... აბა, საქმეზე!

- დიახ, დიახ!.. ჩემი გვარია სტივენსონი... არქტიკაში ორწლიანი მოგზაურობიდან, სამი დღეა, რაც დაბრუნდი... სანამ ექსპედიციამ გავემგზავრებოდა, დავნიშნე ლედი ლი გორდონი...

- ლორდ ლანკასტერის უმცროსი ქალიშვილი? სანამ პირველად გათხოვდებოდა, იგი ხომ ჰერმიონ კრეინის სახელს ატარებდა? რა ტრაგიკულად დაიღუპა ომის ბოლო დღეს მისი ქმარი, თანაც ქორწინებიდან სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ...

- სრული სიმართლეა. მამ ასე: რახან ლი გორდონი დავნიშნე, გადაწყვიტე ექსპედიციაში აღარ წა-

ვერსად წახვით.

- ეს "გრეინჯი" კი რაღაა? ვინ არის მისი მფლობელი?

- დოქტორი ჰარისონი. მან სანატორიუმის მსგავსი რაღაც მოაწყო; მგონი ნერვიული ავადმყოფებისათვის. ქალები დასასვენებლად ჩამოდიან მასთან თუ სხვა რამ საქმისთვის, არ ვიცი. იქ რა ხდება, ზუსტად არაფერი უნყის. აი, თვითონ ექიმიც!

თუპენსმა ორი ღია ბარათის საფასური სწრაფად დადო მაგიდაზე და ქუჩაზე გამოვიდა. და მართლაც, ფოსტის წინ, ორადგილიანმა მანქანამ ჩაიქროლა. თუპენსმა მანქანაში მალალი, პირქუში, შავწვეროსანი არასასიამოვნო იერსახის კაცი დალანდა.

მანქანა კუთხეს მოეფარა თუ არა, ქალს ტომი მიუახლოვდა.

- ტომი, - მგონი სწორ გზას ვადგავართ. დოქტორ ჰარისონის სანატორიუმში მან გაიარა ახლა მანქანით.

- მივაქციე ყურადღება! საეჭვო ტიპია. აუცილებლად უნდა შევამოწმოთ მისი დანებსებულება!

მალე მიაგნეს, რასაც ეძებდნენ, - დიდი, ძველებურ, ბალიან სახლს, რომელიც სხვა შენობისაგან მოშორებით, უკაცრიელ ადგილას იდგა.

- შემზარავი ადგილია. ვშიშობ, საქმე გაცილებით სერიოზულია, ვიდრე მოველოდით!

- დროზე ჩამოვედით. ვფიქრობ, სტივენსონის საცოლეს საფრთხე ელის... დაგაკაუნოთ და მოვითხოვოთ, ლი გორდონთან მიგვიყვანონ...

თუპენსი სანატორიუმის შესასვლელთან მივიდა და ზარის ღილაკს თითი დააჭირა.

კარები, ეგვიპტური მუმიის მსგავსად, უმოთხრობის სახის მქონე მსახურმა კაცმა მალე გააღო.

- ლედი ლი გორდონის ნახვა მიხდება.

- აქ ასეთი არავინაა, - უპასუხა მსახურმა და კარი დაკეტა.

თუპენსი ქმართან დაბრუნდა.

- დარწმუნებული ვარ, ტყუილი, - თქვა ტომიმ. - ექიმს დაველოდით. შევალ და ვეტყვი: ყურნალისტი ვარ და მანტერესებს მკურნალობის მისეული ახალი მეთოდი. ამ გზით შევალწე შენობაში და იქაურობასაც მოვთავალიერებ.

ნახევარი საათის შემდეგ "გრეინჯს" მისი პატრონის მანქანა მიადგა; ხუთი წუთის მერე კი ტომი ზარს წაუპოტინა. შერცხვნილი ტომი სწრაფად დაბრუნდა.

- მიპასუხეს: დოქტორი ჰარისონი ძალიან დაკავებულია, და რომ ყურნალისტებს საერთოდ არ ღებულობს... ყოველივე ფრიად საეჭვოა. დანაშაულის ჩადენა რომ მოინდომო, ამ სანატორიუმზე უკეთეს ადგილს ვერც ინატრებ! შევეცდები, იქნებ კედელზე გადავჭვრე და ბალიდან სახლში შევიპარო.

- მეც შენთან ვარ, ჩემო ტომი! - მგზნებარედ წამოიძახა თუპენსმა.

მალე ისინი დაბურულ და მოუვლელ ბაღში გაუჩინარდნენ. ცოლ-ქმარი სახლს უკანა ფართო ტერასის მხრიდან მიადგა. შენობისათვის უზარმაზარი ფანჯრები მინიდან გვარიან სიმაღლეზე გაეკეთებინათ. ამიტომ ფანჯარაში შეჭვრეტა ვერ მოახერხეს. სამაგიეროდ, მალე სახლიდან ვიღაცის ხმა შემოესმა:

- შემოდით და მიხურეთ კარი, - გაბრაზების თქვა კაცმა. - თქვენ მუშუბნებით, რომ ის ქალი ლი გორდონით დაინტერესდა?

- დიახ, სერ.

- ვიმედოვნებ ეტყოდით, აქ ასეთი რომ არავინაა.

- რასაკვირველია, სერ. თუპენსმა იცნო მუმიისსახია-ნი კაცის ხმა.

- და კიდევ ის მჯლბნელი! - გაავრებით წამოიძახა სარკმელს მომდგარმა კაცმა, რომელშიც თუპენსმა და ტომიმ დოქტორი ჰარისონი შეიცნეს. - იმ ქალის გარეგნობა ამინერეთ.

- ძალზე ახალგაზრდაა, კოხტა, მშვენივრად აცვია... - მდუმარება ჩამოწვა. ცოლ-ქმარს კარის მიჯახუნების ხმა შემოესმა. ისინი ბუჩქებში შეიმალნენ, რათა მშვიდად მოეთათობრათ.

- ამ ღამით რაღაც უნდა მოხდეს, - თქვა თუპენსმა. როგორმე შენობაში უნდა შევიპაროთ. დავინახე, მეზობელ მუშაობა რომ დაამთავრა, კიბე იქვე, კედელზე მიყუდებული დატოვა. მენ ამ დროს მსახურს ელაპარაკებოდი.

- რა, ხომ არ აპირებ?... - დიახ, ზუსტად ასე, - მტკიცედ თქვა თუპენსმა, - როგორც კი დაბნელდება...

სალამოს ათი საათისთვის უკვე ბნელოდა. ცოლ-ქმარი ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანას შეუდგა. მათ კიბე მეორე სართულის ერთ-ერთ ღია ფანჯარას მიადგეს. თუპენსი უხმაუროდ აცოცდა საფეხურებზე და ფანჯარაში გაუჩინარდა. ტომი ცოლის დაბრუნებამდე შინსაგან ცახცახებდა.

- იგი აქ არის, - ამოიკნავლა თუპენსმა, სული რომ მოითქვა, - სანაოლში წეღს, კენესის, ბორგავს... მერე იკვილა... შემოვიდა თეთრხალათიანი ქალი და რაღაც ნემსი გაუქეთა...

- გორდონია?

- მგონი კი... მხოლოდ სანაოლზე უნდა იყოს დაბმული. იქნებ როგორმე შევიპარო მის ოთახში...

- რაიმე ხიფათი არ გადაეყარო, თუპენს... მეშინია.

- მაშინ დავიყვირებ.

ცოლი კვლავ აძვრა კიბეზე და ფანჯრის სიბნელეში გაუჩინარდა. განამებული ტომი მოუთმენლად ელოდა. ჩქამიც კი არსიდან ისმოდა. მალე ტომს ჩურჩული შემოესმა.

ისევ სიჩუმედ დაისადგურა. უეცრად ვიღაცამ ტომს მხარზე ხელი დაადო. ათრთოლებული ტომი შემოტრიალდა.

- ნაველი, ტომი, - გაისმა სიბნელეში თუპენსის ხმა!

- შენა, თუპენს?! - აქ საიდან გაჩნდი?..

- სადარბაზო კარით გამოვედი... ნავიდე... - როგორ თუ ნავიდე! მერე ლედი ლი გორდონი?

- ლედი ლი გორდონი ხდება... - არ მესმის, ამით რისი თქმა გასურს?

- იმისი, რაც გაიგე... მისტერ სტივენსონის საცოლე, - სასონარკვეთილმა თუპენსმა ამოიხრა, - ხდება!.. იმცირებს საკუთარ წონასა და მოცულობას! არ გახსოვს, რა თქვა მისტერ სტივენსონმა, რომ ვერ იტანს მსუქან ქალებს. სტივენსონი ორი წელიწადი არქტიკაში იყო. ამ პერიოდში მისი საცოლე გვარიანად ჩათქვირდა. მას ელდა ეცა, საქმროს ნადრედად დაბრუნების ამბავი რომ შეიტყო. ლი გორდონმა გადაწყვიტა, დოქტორ ჰარისონის საავადმყოფოში ჩატარებინა გახლდომის დაჩქარებული კურსი... მისი გაუჩინარების მთელი იდუმალებაც ამამია. ჩვენ კი! ჩამოვდივართ და იდუმალებით ვიქცევით! ნავიდე, ჩემო ძვირფასო, უხვირო მერლოკ ჰოლმს!

პასუხად ტომიმ მხოლოდ ღრმად ამოიხრა.

“ბრაბუს როკეტ CLS” - ყველაზე სწრაფი სედანი მსოფლიოში

მარკა ლორთქიფანიძე

გერმანული სატიუნინგო კომპანია “ბრაბუსი” ცნობილია, როგორც გერმანულ ავტოგრაფიკულ “მერსედეს-ბენცის” ავტომობილების სრულყოფის სპეციალისტი. ქალაქ ბოტროპში ბაზირებული სტიუდიის სპეციალისტები ჩვეულებრივი საგზაო “სამქიმიანებისგან” შესანიშნავი ტექნიკური მახასიათებლების მქონე მონსტრებს ამზადებენ, რომლებსაც თავიანთ კლასში სისწრაფესა და მანევრულობაში ბადალი არ მოეპოვებათ.

“ბრაბუსის” ახალი შედეგის სახელია “როკეტ CLS”, რომელმაც შექმნისთანავე დაამხო მისი წინამორბედის, 298 000 ევროდ ღირებული, 640-ცხენისძალიან სუპერსედან “ბრაბუს E V12 ბიტურბოს” სიჩქარის რეკორდი (350.2 კმ/სთ) - იტალიის სამხრეთში მდებარე ავტოდრომ “ნარდოზე” “ბრაბუსის” “რაკეტამ”, რომელიც 348 000 ევრო ღირს, მაქსიმალური 362.4 კმ/სთ სიჩქარე განავითარა.

ახალი რეკორდსმენის კაპოტქვეშ (მკერდში) ძველს წყვილი ტურბოკომპრესორით აღჭურვილი, V12 არქიტექტურის მქონე 6.233-ლიტრიანი ძრავი, რომელსაც საბაზო ვერსიასთან შედარებით, ოდნავ გაზრდილი მუშა მოცულობა აქვს. ის მაქსიმალურ სიმძლავრეს (730 ცხენის ძალა, ანუ 537 კილოვტის) 5 100 ბრ/წთ-ზე ავითარებს. უფრო მეტიც, ამ აგრეგატს მაქსიმუმ 1 320 ნმ მობრუნის მომენტის გავითარება შეუძლია, მაგრამ ეს მაჩვენებელი ელექტრონიკის მეშვეობით, 1 100 ნმ-ზეა დაყვანილი. “ბრაბუსის” მოტორისტების კიდევ ერთი მიღწევა ისაა, რომ ელექტრონიკით შეზღუდულ მაქსიმალურ მობრუნ მომენტს ძრავი მუხლა ლილვის ბრუნების დიდ დიაპაზონში (2 100-6 000 ბრ/წთ) ავითარებს.

ბოტროპულ სედან-რაკეტას ფენომენალური აჩქარება აქვს. ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის ასაკრეფად მას 4.0 წამი ჰყოფნის, 0-200 კმ/სთ-მდე აჩქარებას 10.5 წამში ასწრებს, 0-300 კმ/სთ-მდე კი - 29.5 წამში. “რაკეტის” მაქსიმალური სიჩქარე 350 კმ/სთ-ია, მაგრამ მას მეტიც შეუძლია. უბრალოდ, მაქსიმუმი ხელოვნურადაა შეზღუდული, რადგან სხვათაგან ის ვერ გაივლიდა საგზაო ჰომოლოგაციას.

V12 ძრავი აღებულია S-კლასის სედანის (მერსედეს 600) ბოლო ვერსიისგან. ორი კომპრესორის დამატებით, აგრეგატი გაბარიტებში საგრძნობლად გაიზარდა, რის გამოც მისი კაპოტქვეშ ჩატევა გარკვეულ სიძნელებებთან იყო დაკავშირებული, თუმცა ინჟინრებმა ამ ამოცანას შესანიშნავად გაართვეს თავი.

ძრავის მუშა მოცულობა 6.233 ლიტრამდე გაიზარდა. შეიცვალა მუხლა ლილვი, გაიზარდა ცილინდრების დიამეტრი, მათში კი ნაჭედი დგუშები მოთავსდა. სკურპულოზურად და-



მუშავდა შემშვები და გამომშვები კოლექტორები, რის შემდეგაც სანავი ნარევი და გამოწვობილი იყო ნაკლებ აეროდინამიკურ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამის გამო, უფრო ეფექტურად ხდება წვის კამერის შევსება-გათავისუფლება. ოპტიმიზაცია ჩაუტარდა წვის კამერასაც, სანავი და ნამუშევარი აირების წვის კამერაში შევსება-გამომშვებას კი დიდი ზომის სარქველები ემსახურება.

სიმძლავრის გასაზრდელად, კონსტრუქტორებმა გამოიყენეს მათ მიერვე დამზადებული ორი ტურბოკომპრესორი (ცილინდრების ორივე რიგზე თითო), რომელსაც ემსახურება სპეციალური შუალედური გაგრილების სისტემა და უჟანგავი ფოლადის მილებიდან დამზადებული გამოსაბოლქვი სისტემა.

რა თქმა უნდა, მთელი ეს უნიფიკაციები ნაკლებად ეფექტური იქნებოდა იმ შემთხვევაში,

თუ ძრავის “ტვინს” შესაფერისი პროგრამული უზრუნველყოფა არ ექნებოდა. ახალი პროგრამა ემსახურება არამხოლოდ ძრავის პარამეტრებს რადიკალურად გაუმჯობესებას, არამედ იმასაც, რომ ეს აგრეგატი შეესაბამებოდეს გამოწვობილ მუშა ახალ, “ევრო IV” სტანდარტს.

ყოველივე ჩამოთვლილი მოდიფიკაციების შედეგი კი 730 ცხენის ძალა, სიმძლავრის ზღვარი, რომელამდეც მანამდე “სამქიმიანების” არცერთ სერიულ აგრეგატს არ მიუღწევია. ეს უზარმაზარი სიმძლავრე, “ბრაბუსის” მიერვე მოდიფიცირებული, ხუთსაფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფისა და საკუთარი წარმოების ბლოკირებადი დიფერენციალის გავლით, უკანა წამყვან ბორბლებს გადაეცემა.

რა თქმა უნდა, მსოფლიოს ყველაზე სწრაფი სედანი უსაფრთხოების მკაცრ მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს.

“ბრაბუსის” კონსტრუქტორებმა ესეც გაითვალისწინეს:

კომპანია “ბილშტაინის” ინჟინრებთან ერთად, მათ “რაკეტისთვის” შექმნეს ცვალებადი სიმაღლის მქონე, აიროვანი ამორტიზატორები, რომელთა მუშაობასაც ელექტრონიკა აკონტროლებს. ამ ამორტიზატორებს ზამბარების დემპფირების (რხევების ჩაქრობის) 6 სხვადასხვა დონე გააჩნიათ და მათ ამათუიმ სიტუაციაში კომპიუტერი ირჩევს, რითაც უმჯობესდება ავტომობილის მანევრულობა და აქედან გამომდინარე, უსაფრთხოება.

მაქსიმალურადაა გაზრდილი სამუხრუჭე დისკოები, რომელთა ფრიქციული ნადები თანამედროვე ტექნოლოგიებით მზადდება. წინა მუხრუჭებში გამოყენებულია კერამიკულ-კომპოზიტიური მასალებისგან დამზადებული დისკოები (ზომა 375 x 36 მმ), რომლებსაც ალუმინისგან დამზადებულ საყრდენებში (სუპორტებში) მოთავსებული 12 ცილინდრი ემსახურება. უკანა მუხრუჭების დისკოები (ზომა 355 x 28 მმ) ფოლადისგანაა დამზადებული, და მათ 6-ცილინდრიანი საყრდენები ემსახურება.

ესოდენ დიდი ზომის მუხრუჭების ჩასატევადა, “ბრაბუსმა” სპეციალურად დაამზადა 19-დუიმიანი ბორბლები, რომლებზეც ჩაცმულია იაპონურ კომპანია “იოკოჰამას” მიერ სპეციალურად შექმნილი დაბალპროფილიანი საბურავები, რომელ-

თა ზომებია: 255/35 ZR 19 წინ და 285/30 ZR 19 უკან.

რა თქმა უნდა, ავტომობილმა აეროდინამიკურ მილშიც გაიარა ტესტირება. შედეგად, გაუმჯობესდა არამხოლოდ მისი გარსემოდენილობა, არამედ მნიშვნელოვნად შემცირდა წინა წინაწილზე მოქმედი ამწევი ძალა და გაიზარდა ბორბლებზე დინამიკური დატვირთვა. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი.

სპორტულ ყაიდაზე განწყობილი “რაკეტის” ინტერიერი. აქ დომინირებს კარბონის კომპოზიტის შავი ფერი და მეტალისგან დამზადებული დეტალები. ვერცხლისფერი ელვარება. პანელები უძვირფასესი ხავერდით, ალკანტრითა და ტყავითაა განწყობილი. სავარძლები და საჭის რგოლი სპორტულია, სპიდომეტრზე კი, მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვის მიუხედავად, დანაყოფის ჭერი 400 კმ/სთ-ს სწვდება! ზოგისთვის ეს ალბათ ნამდვილი საფრთხოვანია.

რა თქმა უნდა, სპიდომეტრი აშკარად “იტყუება”, თუმცა ამის მიუხედავად, ევროპისა და აშშ-ის ავტოსანებზე, ბოტროპულ “რაკეტებს” აშკარად ვერ გაუწევინებენ კონურენციას არამხოლოდ სედანები, არამედ “ფერარის”, “ლამბორგინის”, “პორშესა” და სხვა მწარმოებელთა სუპერკუპეებიც.

რა თქმა უნდა, მსოფლიოში არცთუ ბევრი იქნება ისეთი ავტომოყვარული, რომელიც “ბრაბუსის” რაკეტაში 348 000 ევროს (437 575 დოლარს) გადაიხდის. არც ისეთები იქნებიან ბევრნი, რომლებსაც ამ მონსტრის სპიდომეტრზე გამოსახული 400 კმ/სთ ვერ შეაშინებს. თუმცა, კომპანია იმედოვნებს, რომ თავისი შედეგის მინიმუმ 60 მყიდველის პოვნა არ გაუჭირდება.



ბოტროპული რაკეტა და მისი ავტორები

კლუბები/რესტორნები

ბარი იხსნება: 17:00. ყოველ დღე: 22:00 დიჯეი ფართი და დისკოთეკა. მიმტანები: - ქართველი და უცხოელი მოდელები. მუდმივად ეკრანზე ფეშენ TV; ყოველ ხუთშაბათს: Ladies night საფირმო კოქტეილი უფასოდ მხოლოდ ქალბატონებისთვის. ასევე - განახლებული მენიუ და ლუდების ფართო არჩევანი;

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩების პირდაპირი ტრანსლაცია კლუბის ყველა მონიტორზე. სტერეო ხმა და სტადიონის აუდიო. შემდეგ, - After Football Party.

რუსთაველის გამზირი 18; ტ.: 92 22 88 (მობ.: 877 74 71 70); ავტოსადგომი უფასოა.

იხსნება: 12:00; 22:00-დან 24:00-მდე კლასიკური მუსიკა,

ჯაზ-პენდი და თათია ხაბურზანიანი; ევროპული და ამერიკული სამზარეულო; პარასკეობით: ხმელთაშუა ზღვის თევზეული; ლანჩის დროს 20%-იანი ფასდაკლება, სამზარეულო მუშაობს 02:00-მდე; იტევს 130 სტუმარს.

ბამბის რიგი 7; ტ.: (99532) 43 90 38 უფასო ავტოსადგომი

იხსნება: 12:00; თბილისის ცენტრში, სპეციალურად თქვენთვის შექმნილი სადა, დახვეწილი ინტერიერი, მყუდრო, ეგზოტიკური გარემო და უგემრიელესი ტრადიციული იაპონური კერძებისა და დელიკატესების ფართო არჩევანი (25 დასახელების სუში და როლები) თავს ტოკიოში გაგრძელებს. საკე და 3 სახეობის იაპონური ლუდი, ხილის ღვინოები და ლიქიორი, ჩაი და იაპონური რეცეპტურით მომზადებული ყავა იაპონური დესერტით. სამურაის ხმალი ინტერიერში და რესტორნის ტრადიციული იაპონური თილისმა - თათანუელი თეთრი კატა თუ აღმოსავლური ეგზოტიკის სურვილი შეგრძნებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდება, მაშინ, მთელი მომსახურე პერსონალის მსგავსად, კომონოში გამოწყობილი

ბამბის რიგი 7; ტ.: (99532) 43 90 38 უფასო ავტოსადგომი

მზარეული ტეპანზე თევზეულია და ხორცის შეწვის სანახაროდ არაჩვეულებრივ რიტუალს თქვენს თვალწინ შეასრულებს. ესტუმრეთ იაპონურ რესტორანს და იგრძენით იაპონური სტუმართმყოფარების სიბილი. რესტორანი მუშაობს ბოლო სტუმრის გაცილებამდე.

ახველიანის 17; ტ.: 99 56 32.

ბარები/კაფეები

იხსნება: 12:00; მყუდრო, ელიტარული პატარა კაფე თბილისის კოლორიტულ უბანში. კაფე "კაშე" ფოტო სტუდიას მოგაგონებთ დახვეწილი დიზაინითა და ნითელი, შავი და თეთრი ფერებით. ინტერიერი გაფორმებულია შავ-თეთრი ფოტოებით. ღია ცის ქვეშ გამოტანილ ნითელი ფერის სკამებზე ცნობილი ფოტოხელოვანების სახელებს ამოიკითხავთ.

ესტუმრეთ კაფეს, მოუსმინეთ სასიამოვნო მუსიკას, გაგრძელეთ და დაისვენეთ სპეციალურად თქვენთვის შექმნილ სტუდიურ გარემოში. ქართულ-ევროპული მენიუ, მსუბუქი სალათები და უგემრიელესი დესერტები ნებისმიერი გემოვნების ადამიანს დააკმაყოფილებს. გვერდ-წმუნეთ, ჩვენ ვიცით სად იმალება თქვენი ბედნიერების გასაღები. მუშაობს ბოლო სტუმრის გაცილებამდე.

ბამბის რიგი 7; ტელ: (+99532) 439310.

კადაშიარჩეONE-ი
იპონური რესტორნი "ტოკიო" ზღვა-საზღვაო კავშირს სტრუქტურა ერთად
როდესაც ჯანმრთელ და სასარგებლო საკვებზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი აუარო ტრადიციულ იაპონურ კერძებსა და დელიკატესებს, რომელთა უმრავლესობა ადამიანის ორგანიზმისათვის მეტად საჭირო პროდუქტებისგან - თევზეულის, ზღვის პროდუქტების, წყალმცენარეების, ბოსტნეულისა და საუკეთესო ხორცისგან მზადდება. უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული სახეობის თევზის (ძირითადად ორავული, თინუსი და ყვითელი კუდა, ქორჭილა და კამპაჩი კი სალათებში) უმად მოხმარება, რაც იაპონელებისთვის ჩვეულებრივია, ჩვენთვის კი ცოტა უცხოა, ჯანმრთელობისთვის ძალიან საჭირო და საკმაოდ სასარგებლოა, რადგან უმნიშვნელო თვისებებს და გემოვან თვისებებს პრაქტიკულად უდანაკარგოდ ინარჩუნებს. იგივე შეიძლება ითქვას ზღვის სხვა პროდუქტებზეც (მოლუსკები, რვაფეხა, კალმარები, კრევეტები), რომლებიც ცოცხალი, მოხარშული თუ ოდნავ შემწვარი სახით ასევე ხშირად გამოიყენება ტრადიციულ იაპონურ კერძებში. რაც შეეხება თავად იაპონიაშიც კი დელიკატესებად აღიარებულ სუშის და როლებს, ისინი ტრადიციულად ბრინჯისგან, სხვადასხვა სახეობის თევზისა და ზღვის პროდუქტებისგან, წყალმცენარეებისა და ქვირილისგან მზადდება. მაგალითად სუში, - ძირითადად ნორვეგიული ან მოტლანდიური ორავულის, კამპაჩის თინუსისა და კრაბის, საგანგებოდ მომზადებულ სოუსში მოხარშული მდინარის ან ზღვის გველთევზას საუკეთესო ნაჭრებისგან მზადდება და მას სპეციალურად ამ კერძისთვის მომზადებულ (ძმრით, შაქრით, მარილით და წყალმცენარეებით) ბრინჯზე დებენ. თუ თევზი შედარებით მაგარია, მას ბრინჯზე ასევე საგანგებოდ მომზადებული (დამუშავებული და შემწვარი) წყალმცენარით - ნორით, რომელიც 90%-ით იოდს შეიცავს, კრავენ. ზემოდან სოიოს შესაფერის სოუსს უსვამენ და სეზამის მარცვლებს აყრიან, ზოგჯერ კი ქვირილით რთავენ. რაც შეეხება როლებს, ის პრაქტიკულად იგივე სუშია, ოღონდ შიგთავსი, რომელიც ამ შემთხვევაში უფრო მრავალფეროვანია (ზღვის პროდუქტების ასორტი), ბრინჯთან ერთად წყალმცენარეები იხვევა და მერე საგანგებოდ პორციებად იჭრება. სუშის 1 პორცია 35გრამს იწონის. როლები კი სხვადასხვა ზომისაა: დიდი-40, საშუალო-30, ხოლო პატარა კი-15გრამი. იაპონური სამზარეულოს განსაკუთრებული სიამაყე, მსოფლიოში ცნობილი ნაჭონის ხორცი - კობა. ე.წ. მარმარილოს (marbled) ხორცი, რომელსაც მარმარილოს მსგავსი წიწკლები აქვს. მისი სახელი იმ პირობისგან უკავშირდება, სადაც ამ განსაკუთრებული ჯიშის საქონელს ზრდიან. მთელი საიდუმლო იმაშია, რომ იქ ზალახის ირიგაცია ზღვისა და ოკეანის გაუმტკნარებელი წყლით ხდება. ამიტომ, ამ ზალახზე გაზრდილი საქონლის ხორცი ძალიან ნაზია და იგივე თვისებები აქვს რაც თევზს. კერძოდ, - უჯერი ცხიმების მაღალი პროცენტულობა, რომელიც ორგანიზმში ქოლესტერინის რაოდენობას კი არ ზრდის, არამედ, პირიქით - ამცირებს. საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია სალათები, რომლებიც ბოსტნეულთან ერთად ზღვის პროდუქტებსაც შეიცავენ და სხვადასხვა სახეობის წვნიანი. მათი უმრავლესობა სოიოსგან მზადდება. კერძოდ, სოიოს ხაჭოსგან, ცხარეა და მათში ხშირად სეზამის მარცვლებსაც ყრიან. ასევე სოიოზე და მზადებული ყველა ის სოუსიც, რომელშიც სუშისა და როლებს აწობენ. მათ უმატებენ ვასაბს, - მწვანე ფერის პირშუშას, რომელიც სოუსს ცხარე გემოს აძლევს. იმისათვის, რომ ერთი საქმლის გემო მეორეზე არ გადაგვეყვით, აუცილებლად უნდა მიირთვათ სოუსში ამოვლებული იმბირი (მცენარეა) და ამის შემდეგ გააგრძელოთ ახალი კერძის დეგუსტაცია. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საქმელს ძალიან უხდება საკე, რომელსაც შეცდომით იაპონურ არაყს უწოდებენ, სინამდვილეში კი ღვინის ტექნოლოგიით დამზადებული სასმელია. მას ზამთარში ცხელი სახით მიირთმევენ, ზაფხულში კი - ცივი. ქართველებს რატომღაც უფრო ცხელი საკე მოსწონთ, მიუხედავად იმისა, რომ ღვინო, ტრადიციულად, უფრო ცივი ურჩევნიან. საკეს სიმაგრე საშუალოდ 14-17გრადუსს არ აღემატება. ისმება პატარა ჭიქებით და ახასიათებს თრობის მსუბუქი შეგრძნება, რომელიც სუფრიდან ადგომისთანავე უკვალოდ ქრება.



ბრწყინვალე არომატის მქონე მაცდური ნაჩუქარი Moschino-საგან, ტანის ლოსონი- I Love Love. სიცოცხლით სავსე, ირონიული, გართობის მოყვარული შეყვარებული ქალბატონებისათვის. ისეთივე ახალგაზრდული, როგორც შთაგონება, როგორც ნოტა, რომლითაც ის შეიქმნა და რომელიც პირველი შეხებისთანავე სიხარულის შეგრძნებით აღგავსებთ. მიმზიდველი და სპონტანური, ფერადოვანი და ქალუ-

გადაზიანებული ქსელი გთავაზობთ: Issey MIYAKE, Carolina HERRERA, DOLCE & GABBANA, Van Cleef, & Arpels, Cristian Dior, BVLGARI, ALEXANDER McQUEEN, YVES SAINT LAURENT, JIL SANDER, ROCHAS, BOUCHERON, CHANEL, CERRUTI, Davidoff, VALENTINO, Jean Paul GAULTIER, ORLAN, LAGERFELD, Ermenegildo Zegna, TRUSSARDI, Calvin Klein, GF, GUCCI, JOOP, LANCASTER, Ghopard, dunhill, STELLA McCARTNEY, Lolita

რი, ბედნიერების დაუძლეველი ჟინის მომგვრელი, ის გაიძულებთ - შეგიყვარდეთ! ღია: 10:30-დან 20:00-მდე. თბილისი: რუსთაველის 1/34/42, ჭავჭავაძის 11, ვაჟა-ფშაველას 20, და აღმოსავლეთის გამზ. 83/114, გამსახურდიას 11, ხიზანიშვილის 6, ვეკუას 3 (საგაჭრო ცენტრი GTS), წერეთლის 69. ქუთაისი - თამარ მეფის 5. ბათუმი - კოსტავას 7.

დელუქსი DELUXE

გთავაზობთ ქალის ტანსაცმლის ფართო არჩევანს: თეთრეული, კაბები, ქვედაბოლოები, პიჯაკები, მარნელები, ბლუზები, მაისურები, პერანგები, სარაფნები და ფეხსაცმელი; აგრეთვე, - ჩანთები ბიჟუტერია და სხვა აქსესუარები. DELUXE-ის ზომიერი ფასები და მაღალი ხარისხის პროდუქცია ყველა ასაკის ყველაზე პრეტენზიულ ქალბატონებსაც კი დააკმაყოფილებს. თუ სიახლეს ეძებთ, გვესტუმრეთ, ახალი საზაფხულო კოლექცია და სპეციალური ფასდაკლება მუდმივი კლიენტებისთვის სწორედ ისაა, რასაც თქვენ ეძებთ. ჩვენ ყველასთან მოგვტყუანთ საერთო ენას. მოზრძანდით და თქვენც ჩვენი მუდმივი კლიენტი გახდებით. მუშაობს ყოველდღე: 11:00-დან 20:00-მდე;

საბურთალოს 26; ტ.: 38 08 44.

ინტერიერის დიზაინის სალონი "Opera" ცნობილი იტალიური

კომპანიების: Cassina, Cappellini, Ivano Redaelli-სა და Alias ექსკლუზიური წარმომადგენელია საქართველოში. სადემონსტრაციო დარბაზში წარმოდგენილი XX საუკუნის ნამუშევარი არქიტექტორებისა და დიზაინერების თანამედროვე დიზაინის ავეჯი (სამეუღლები, სკამები, მაგიდები, კარავები, საძინებლები, დივნები), მათ შორის საოფისე (Alias); აგრეთვე, MISSONI-სა და ETRO-ს ტექსტილი და Ivano Redaelli-ს ნატურალური (თხის, კურდღლის, ლამის, წავის და სხვ.) ბუნებისა და ზამთრის აქსესუარები (ლოჯინის გადასაფარებლები, თეთრეული, ბალიშები, პუფები), საშუალებებს მოცემთ, გაეცნოთ თანამედროვე ტენდენციებსა და სტანდარტებს ამ სფეროში და თქვენი საცხოვრებელი და სამუშაო სივრცეები უფრო მოხერხებული, დახვეწილი და ხარისხიანი გახადოთ. მალე: სპეციალურად ზღვის სეზონისათვის შეგიძლიათ შეიძინოთ - MISSONI-ს პირ-სახოცები (მათ შორის შეზღონებულ დასაფენი), ხალათები და პერანგები; სექსმეგობრივი - ETRO-ს ახალი კოლექცია (კოლექცია იცვლება ყოველ 6 თვეში).

უმალესი ხარისხის: ლოჯინის თეთრეული და გადასაფარებლები, საბნები, მოქარგული ბალიშები, აბრეშუმის ხალათები. წარმოდგენილი კოლექციებიდან თქვენთვის სასურველი ნივთის შერჩევის შემთხვევაში შესაძლებელია, შეუკვეთოთ სასურველი ფერისა და ფაქტურის ანალოგი, სალონი არსებული ნიმუშების ფარგლებში. შეკვეთის მაქსიმალური ვადა - 3 თვე, შეკვეთის გაფორმების დღიდან სახლში მიტანამდე. ნივთზე მითითებულ ფასში შედის ადგილზე მიტანისა და აწყობის სერვისის ღირებულება. მუშაობს: 11:00-დან 19:00-მდე (კვირის გარდა);

რევაზ ლალიძის 2; ტ.: 92 19 84.

ჩვენნი არჩეONE-ის იმპრესარიო მანია კაპანაძე იმპრესარიო და რეკლამის განსათავსებლად დაგვიკავშირდით: 899 95 57 67

